

Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ქურნალი ბალეტზე

№3(20)'12





KSB

ქობ
სტანდატი
ბანკი

☎ 55 00 00 www.KSB.ge

ბონივრული აღმშენებელი

ბიზნო! ბიზნო! ბიზნო!



ზაქარია
ფალიაშვილის სახელობის
თეატრის
**ოპერისა
და
ბალეტის**
სახელმწიფო
თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო თეატრის ბანკიანი სპონსორი



სიქნეტი
SILKNET

ყველაფერი კავშირშია



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპონსორი

- სილქლაინი** თქვენი სახლის ტელეფონი
- სილქკომი** მაღალი სიჩქარის ინტერნეტი
- სილქტელი** თქვენი უკაბელო ტელეფონი
- სილქტივი** ახალი თაობის ინტერაქტიული ტელევიზია



Arabesque

№3(20) 2012

Ballet Magazine

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საპალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

გამომცემის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

საპალეტო დასის სახსატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიასვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი
ილია თავბერიძე

Editor-in-Chief
ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების
რედაქტორი

Editor of the English
language version

თორნიკე ხომერიკი

TORNIKE KHOMERIKI

დიზაინი

Design by

ბესიკ დანელია

BESIK DANELIA

ფოტოგრაფი

Photographer

ლადო ვაჩნაძე

LADO VACHNADZE

გარეკანზე: სცენა ბალეტიდან „ეს თავდაყირა სამყარო“. ლადო ვაჩნაძის ფოტო
On the cover: scene from ballet *Oh, Inverted World*. Photo by Lado Vachnadze

წომეში გამოყენებულია ჰიდემი სეტოს, ლადო ვაჩნაძის, გიგა ხარაძის,
გიორგი იმნაძის, საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს თეატრის,
კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის და ბალეტის მსახიობთა
პირადი ფოტოები

The issue features photographs by Hidemi Seto, Lado Vachnadze, Giga Kharadze,
Giorgi Imnadze, Georgian National Archive, Museum of Theatre, Cinema, Music and
Choreography of Georgia, and private archives of the ballet artists.

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
Printed in "Cezanne" Ltd

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25

25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 235 75 03

ტირაჟი: 300

UDC (უბაკ) 792.8
A-70

ISSN 1512-3294

www.ballet.ge

გასტროლი • TOUR

04 იაპონური გამომშვიდობება
A Japan Farewell

ჰიროში იოშიდა

10 სიყვარული ბალეტის,
საქართველოს და იაპონიის მიმართ
Love for Ballet, Georgia and Japan
HIROSHI IOSHIDA

16 Ballet News

პრემიერა • PREMIERE

ირინა ბაგაური

18 ეს თავდაყირა სამყარო
Oh, Inverted World
IRINA BAGAURI

ინტერვიუ • INTERVIEW

მვანთა ბადურაშვილი

23 ტრევის უოკერი: „თქვენი
რეპერტუარისთვის ეს მშვენიერი
შენაძენია“

Travis Walker: "It is a great addition
to your repertory"

GVANTSA BADURASHVILI





30

ქართული ბალეტის შემოღობი

25 მე-5 სეზონი
Fifth Season

FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

29 დასი
The Company

პრემიერა · PREMIERA

31 ალვა – პრემიერა რუსთაველის
თეატრში
Alva – Premiere at Rustaveli Theatre

33 სპეცპროექტი
Special Project

დიდი სახელები · THE GREAT NAMES

ილია თავბერიძე

40 თეთრი ვარდები
ბალანჩინისთვის
White roses for Balanchine

ILIA TAVBERIDZE



40

შეცდომის გასწორება

„არაბესკის“ 2012 წლის №2(19)-ში მე-40 გვერდზე ფოტოების წარწერებში გაიპარა შეცდომა. უკრაინის ნაციონალური ბალეტის სოლისტის შინობუ ტაკიტას სახელი და გვარი შეცდომითაა დაბეჭდილი, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის.

CORRECTION

The page 40 of the № 2(19) 2012 issue of Arabesque featured wrong name of Shinobu Takita, soloist of the Ukraine National Ballet. The magazine staff would like to apologize for the mistake.

იაპონიაში 21 ივლისის დასრულდა თბილისის 8. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის ერთ-თვიანი გასტროლი. ამომავალი მზის ქვეყანაში, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ეს დასის მესამე გასტროლია, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს და კომპანია „ჯაპან არტის“ ორგანიზებით მოეწყო.

19 ივლისს ტოკიოს ბუნკა კაიკანის თეატრში, რომელიც 2500 მაყურებელს ითვს, გასტროლის ბოლო სპექტაკლი გაიმართა. პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ მთავარი პარტიები ნინო ანანიაშვილმა და კიევის სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავმა დენის მატვიენკომ იცეკვეს. მაგრამ ამ სპექტაკლს ბალეტის ვარსკვლავების მონაწილეობის გარდა ისიც გამოარჩევდა, რომ ნინო ანანიაშვილმა იაპონელი თავყანისმცემლებისათვის „გედების ტბა“ ბოლოჯერ იცეკვა.

სპექტაკლის შემდეგ ღვაწი ნახევარი საათის განმავლო-

ბაში არ შეწყვეტილა. ნინო ანანიაშვილს და მის პარტნიორებს – დენის მატვიენკოს და ვასილ ახმეტელს, დასის წევრებს არაერთხელ მოუხდათ ფარდის წინ გამოსვლა.

პრიმა-ბალერინამ და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა იაპონიის 6 დიდ ქალაქში 12 სპექტაკლი გამართა. სპექტაკლებმა ყველგან ანშლავით ჩაიარა. გასტროლი საქართველო-იაპონიის დიპლომატიური ურთიერთობების დამყა-



რების 20 წლის თავს ეძღვნებოდა.

21 ივლისს გასტროლი ისევ ბუნკა კაიკანის თეატრში დასკვნითი სამ განყოფილებიანი გალა-კონცერტით დასრულდა. პრიმა-ბალერინამ ამჯერადაც გაახარა მისი თავყანისმცემელი და „მარგარიტა და არმანში“ მარგარიტას პარტია იცეკვა.

Report

アナニアシヴィリ&グルジア国立バレエ

鳴り止まない喝采とともに

六〇七月、ニーナ・アナニアシヴィリ率いるグルジア国立バレエが来日。今年、舞台デビュー三十周年を迎えたニーナは、日本では最後となる「白鳥の湖」をゲストのマトヴェイenkoを相手に披露。さらに最終日の特別プログラムでは、グルジア民族音楽を巧みに採り入れたポソホフ振付「サガロベリ」をはじめ、ヴァラエティ豊かな演目でカンパニーの実力を示し、自身は「マルグリットとアルマン」をドラマティックに舞った。美しく躍動するニーナ、永遠の一瞬――

State Ballet of Georgia's month-long tour to Japan concluded on July 21. This was the third trip in six years of the company to the Country of the Rising Sun, organized by Japan Arts.

The Tokyo Bunka Kaikan theatre, holding 2500 spectators, hosted the final show of the tour on July 19. The principal parts of *Swan Lake* by Pyotr Tchaikovsky were performed by Nina Ananiashvili and Denis Matvienko, Artistic Director of the Kiev State Ballet and world ballet star. The

performance was also marked by the fact that this was the last *Swan Lake* performance by Ananiashvili for the Japan audience.

Applause did not stop for half an hour after the successful performance, with Nina Ananiashvili, her partners Matvienko and Vasil Akhmeteli, and the company dancers called on several curtain calls.

The prima ballerina and the State Ballet of Georgia performed 12 shows in 6 large cities of Japan, all to a packed audience. The tour was dedicated to 20 years anniversary of diplomatic relations between Georgia and Japan.

The tour was concluded with a three-act gala concert at the Bunka Kaikan Theatre, the prima ballerina dancing *Marguerite and Armand*.

იპროტონური DANCE MAGAZINE-ს მკვირდო
 61670 ანანიასვილის ბოლო სემესტრის შესახებ
 FEATURE IN THE DANCE MAGAZINE JAPAN ABOUT
 NINA ANANIASHVILI'S FAREWELL PERFORMANCE

ნახევარ საათიანი ოვაცია რომ დაიმსახურო ნამდვილი ვარსკვლავი უნდა იყო. იაპონელი მყურებლისთვის კი უკვე მეოცე წელია „ვარსკვლავი“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით ნინო ანანიშვილს ნიშნავს. იაპონური გამოშვებობა 19 ივლისს საბალეტო დასის იაპონური გასტროლის ყველაზე ხმაურიანი და ბოლო აკორდი იყო.

სანამ სპექტაკლის მთავარ გმირებს სცენაზე ფერადად აწვიმდათ ერთ მთლიანობად ქცეული დარბაზი ანანიშვილს 40 წუთი უხმობდა ბისზე. მოგვიანებით, ითქვა ის, რაც ბუნკა კაიკანის სცენაზე ისედაც იგრძნობოდა – მყურებელი ქართველ პრიმა-ბალერინას ვერ შეეღია.

თუ კი „გედების ტბა“ ბალეტების ბალეტს უწოდებენ, ნინო ანანიშვილი ის ბალერინაა, რომელიც მის საუკეთესო შემსრულებლად ითვლება.

საბალეტო სამყაროსთვის ჯერ კიდევ უცნობი მოცეკვავე ოდეტა-ოდელიას პარტიაზე პირველად გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო დაამტკიცეს. ასე გაიცნო ანანიშვილი მსოფლიომ. მას შემდეგ „გედების ტბა“ ანანიშვილის კარიერაში „ბალეტი-ბედისწერად“ იქცა – ამ სპექტაკლს უკავშირდება მისი ყველაზე დიდი გამარჯვებები, ყველაზე ხანგრძლივი ოვაციები და სხვადასხვა პაუზების შემდეგ სცენაზე დაბრუნების სასიამოვნო წუთებიც. „გედების ტბით“ დაემშვიდობა სამი წლის წინ ნიუ-იორკში ამერიკის ბალეტის თეატრს და „გედების ტბით“ შეაჯამა ტოკიოში 20 წლიანი ურთიერთობა იაპონელ თაყვანისმცემლებთან. უცნაური დამთხვევაა – „გედების ტბით“ დაწყებულ კარიერას, სხვადასხვა ქვეყნებში სწორედ „გედების ტბით“ ასრულებს.

ტოკიოს ყველაზე პრესტიჟული ბუნკა კაიკანის სცენა ნინო ანანიშვილის პარტიებს, კონცერტების სერიებსა და უკვე მოღვაწეობის 20 წლის იუბილეს იტევს. სპექტაკლის დაწყებამდე, ტოკიოს პრესტიჟული დარბაზის შესასვლელში, ქართველი პრიმას შესახებ სუვენირები და ბუკლეტები იყიდებოდა. ამ ბუკლეტებიდან მყურებელმა ოცწლიანი იაპონური ისტორია გაიხსენა. სცენაზე წარმოდგენილი ბალეტი კი ამ ისტორიის დასასრული გახდა. 6 დიდ ქალაქში გამართული 12 სპექტაკლი – ეს ბოლო იაპონური გასტროლის შედეგია. პრიმა-ბალერინა და თბილისის ოპერისა



და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან ერთად ერთთვიან გასტროლზე იაპონიაში კომპანია „ჯაპან არტის“ მიწვევით იმყოფებოდა. გასტროლი შემოქმედებით ჩარჩოს გასცდა და საქართველო-იაპონიის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავს მიეძღვნა. დასკვნითი გალა-კონცერტი ბუნკა კაიკანის თეატრში სამ განყოფილებიანი იყო. პრიმა-ბალერინამ ამჯერადაც გაახარა მისი თაყვანისმცემელები და „მარგარიტა და არმანის“ სოლო პარტია შეასრულა. ასე დასრულდა ნინო ანანიშვილის შემოქმედების იაპონური ნაწილი. ტოკიო კი კიდევ ერთხელ გახდა ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელოვნებამ ეროვნულობა დაკარგოს და მსოფლიოს საკუთრებად იქცეს.

გასილ ახმეტელი, ნინო ანანიშვილი და დენის მათვიენკო სპეტაკლის შემდეგ. 19 ივლისი. ტოკიო. ჰიდემი სეტოს ფოტო
VASIL AKHMETELI, NINA ANANIASHVILI AND DENIS MATVIENKO AFTER A PERFORMANCE. JULY 19, TOKYO. PHOTOGRAPH BY HIDEMI SETO

იაპონური გამომშვიდობება

A Japanese Farewell



To become a recipient of a half an hour-long applause, one must be a true star. For the last twenty years, for the Japanese audience, “star” has had a meaning equal to Nina Ananiashvili. The Japanese farewell was the final, and strongest, note of the tour to Japan.

While the main participants of the show were under a colourful shower on the stage, the audience, as one whole, called for 40 minutes for a repeat performance by Ananiashvili. Later, it was said that the audience found it hard to say its farewell to the Georgian prima ballerina – the fact already apparent on the stage.

If *Swan Lake* is considered “the ballet of ballets”, Nina Ananiashvili is the ballerina, whose performance of the classic is considered the best.

Ananiashvili's first Odette-Odile part came about due to unforeseen circumstances. This is how the world got to know Ananiashvili. *Swan Lake* became a fateful ballet for her, associated with the greatest wins, the longest applauses and the pleasing moments of returning to stage after various breaks. It was *Swan Lake*, which was selected by the ballerina for her farewell to the American Ballet Theatre three years ago, and it was the same ballet she chose for concluding her 20-year relations with the Japanese admirers. A strange coincidence – the career, started with *Swan Lake*, is finished in various countries by Ananiashvili with the same show.

The Bunka Kaikan, the most prestigious Tokyo stage, has been the host of Nina Ananiashvili's performances for 20 years now. Before the show, there were souvenirs and booklets on sale at the entrance of the hall. These booklets reminded the audience about the twenty year-old Japanese career, while the show on the stage became the final chapter of this story. Twelve shows in six large cities – such is the result of the latest tour to Japan. The prima ballerina, and the State Ballet of Georgia, were invited for the month-long tour by the Japan Arts company. The trip encompassed more than pure artistic frames, celebrating 20 years of diplomatic relations between Georgia and Japan. The final gala consisted of three acts, with the prima ballerina performing the principal part in *Marguerite and Armand*. This was the conclusion of the Japanese part of Nina Ananiashvili's artistic career, while Tokyo, again, showed how art can lose nationality and become a international property.



იხუმი ტაპაჰაში

ნინო ანანიაშვილის ფანების ასოციაციის თავმჯდომარე:

ნინო 20 წლის წინ გავიცანი, საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. მაშინ „რაიმონდაში“ ცეკვავდა. იმ დღესვე მოვახერხე მასთან შეხვედრა კულისებში. იმ დღიდან მისი ფანი ვარ. ახლა იაპონიაში ნინოს უამრავი თავყვანისმცემელი ერთ ასოციაციაში ვართ გაერთიანებული. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ გვაქვს ბედნიერება მის სპექტაკლებს დავესწროთ იაპონიაში. თუმცა ეს სევდიანი სპექტაკლიც გამოდგა, რადგან ნინო ბოლოჯერ ცეკვავს „გედების ტბას“. არადა, ისევ საოცარ ფორმაშია, ფანტასტიურად იცეკვა. შარშან იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის დროს ნინო ერთ-ერთი პირველი იყო ვინც შეგვეხმანა და საოცრად თბილი წერილი გამოგვიგზავნა. მე რე თბილისში საქველმოქმედო საღამოც გამართა. ახლა მინდა მას და ქართველ ხალხს დიდი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის.

ნაკაბო იასო

კომპანია „ჯაპან არტის“ გამგეობის თავმჯდომარე:

ნინო პირველად დიდ თეატრში გამოსვლის დროს შევამჩნიე და დიდხანს ვწვავლობდით, რომ იგი იაპონიაში ჩამოგვეყვანა. გახსოვთ რა დრო იყო, არ უშვებდნენ გასტროლებზე. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ჩამოვიდა ჩვენთან. უკვე 20 წელია გრძელდება ეს თანამშრომლობა. მის გვერდით სხვა მოცეკვავეს ვერ დავაყენებ. არ მჯერა, რომ ეს მისი ბოლო „გედების ტბაა“ იაპონიაში. ისევ ისეთი ახალგაზრდა და შეუდარებელია. ვფიქრობ, ჩვენ გვექნება საშუალება კიდევ მოვიწვიოთ აქ მის მშვენიერ დასთან ერთად.



ოუძი მიჰაძო

კომპანია „ჯაპან არტის“ პრეზიდენტი:

ძალიან ძნელია ერთი სიტყვით გამოხატო რაშია ნინო ანანიაშვილის საიდუმლო. 18 წლის იყო, როცა გავიცანი და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, ისე დამტყვევა, რომ დღესაც ვერავის შევადარებ. მისნაირად ვერავინ გადმოსცემს ემოციას, მისნაირად არავის შეუძლია ადამიანი მოაჯადოოს სცენიდან. ჩვენ ერთად ბევრი პროგრამა განვახორციელეთ – დიდ თეატრთან, ამერიკის ბალეტის თეატრთან, ბერლინისა და პერმის თეატრებთან. ახლა ქართულ ბალეტთან ერთად ჩამოვიდა უკვე მესამედ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მას ძალიან უყვარს მისი ქვეყანა და ამ გასტროლმა იაპონიაში საქართველო ძალიან ბევრ ადამიანს შეაყვარა.



სუშუპი შო

ბალეტის კრიტიკოსი:

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი თანამედროვე საინტერესო კოლექტივია. ნინო ანანიაშვილმა მოახერხა, რომ დასის რეპერტუარში თანამედროვე ქორეოგრაფების საინტერესო ნაწარმოებები შეეტანა. თავადაც ისეთივე მშვენიერია, როგორც 20 წლის წინ, როცა ის პირველად ვნახე – ბრწყინვალე ტექნიკა, შეუდარებელი ცეკვა...

SUZUKI SHO,
ballet critic:

State Ballet of Georgia is a modern, interesting collective. Nina Ananiashvili managed to introduce interesting works by contemporary choreographers in their repertory. She is as beautiful as 20 years ago when I saw her – brilliant technique, incomparable dance...

OUZI EIKAZO
President of Japan Arts:

It is very difficult to express in one word the secret of Nina Ananiashvili. She was 18 when I met her and she left such great impression, that I can not compare anybody else to her. There is no-one who can relay emotions like her, and to enchant a person from the stage. We had many programs together – with the Bolshoi Theatre, American Ballet Theatre, Berlin and Perm theatres. Now, for her third tour, she traveled with the Georgian ballet and this is very important. She loves her country, and this tour made many people fall in love with your country.

IZUMI TAKAHASHI
*Chair of the Association of
Nina Ananiashvili's Fans:*

I met Nina 20 years ago at an international ballet contest. She danced Raymonda, and I managed to meet her the same day on backstage. I have been her fan ever since. We, her admirers from Japan, are now united in this association. I am happy that we have been able to see her shows in Japan, although this also proved a sad performance for us, as this was her last *Swan Lake*. She is in amazing shape, with fantastic dancing.

Nina was one of the first who contacted us and expressed her consolation with an amazingly warm letter following the earthquake last year. That was followed by her with a charity evening in Tbilisi. We would like to thank her and the Georgian people for their support.

OUZI EIKAZO
President of Japan Arts:

It is very difficult to express in one word the secret of Nina Ananiashvili. She was 18 when I met her and she left such great impression, that I can not compare anybody else to her. There is no-one who can relay emotions like her, and to enchant a person from the stage. We had many programs together – with the Bolshoi Theatre, American Ballet Theatre, Berlin and Perm theatres. Now, for her third tour, she traveled with the Georgian ballet and this is very important. She loves her country, and this tour made many people fall in love with your country.

სიყვარული ბალეტის, საქართველოს და იაპონიის მიმართ

ჰიროში იოშიდა

Dance Magazine ოქტომბერი 2012

თავდაპირველად გამოქვეყნებულია
Shinshokan-ში

by Hiroshi Yoshida

Dance Magazine October 2012

Published by "Shinshokan", Japan

Love for Ballet, Georgia and Japan

ნინოს ღიმილი ადამიანებს აბედნიერებს. ნინოს მწუხარება ადამიანების გულს სწვდება. მისი ყველა წარმოდგენა სავსე იყო სიყვარულით — სიყვარულით ბალეტის, საქართველოს და იაპონიის მიმართ.

ნინო ანანიაშვილი და მისი დასი — საქართველოს სახელმწიფო ბალეტი, ივნისსა და ივლისში იაპონიაში გასტროლზე იმყოფებოდა. მათი ტურნე 24 ივნისს ტოკიოში „გედების ტბის“ ალექსეი ფადე-ეჩვისეული ვერსიის წარმოდგენით დაიწყო და 19 ივლისს, დედაქალაქში, ბუნკა კაიკანის თეატრში, ისევ ამ წარმოდგენით დაბრუნდა. დავესწარი „გედების ტბის“ ამ პირველ და უკანასკნელ წარმოდგენებს, ისევე, როგორც 21 ივლისის „სპეციალურ პროგრამას“.

„გედების ტბის“ ამ ორ წარმოდგენას თუ შევადარებთ, ნინო 10 ივლისის სპექტაკლში საუკეთესო ფორმაში ჩანდა და ამ გრძელი გასტროლის ბოლო ეტაპზე მას დაღლის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა.

პირველი მოქმედების ტბის სცენაში მისი ოდეტა სცენაზე მარცხნიდან გამოჩნდა და პრინცს შეხვდა. დიდი ადაჟიო მათ ლირიკულად და მოქნილად შეასრულეს. ბალერინას პორ დე ბრის სრულყოფილება ყოველთვის იყო ანანიაშვილის ოქროს სტანდარტი. ამან სპექტაკლის მისტიკურ გარემოს რეალურობა შესძინა. ის ერთდროულად გედიც იყო და ადამიანიც. მისი ყოველი პოზა წარმოდგენილი იყო ფრთხილად, შეუდარებელი სიზუსტით და დახვეწილი ფრაზირებით. ეს მომენტები კლასიკური ცეკვის ფორმების უაღრესად ბუნებრივ მშვენიერებას გახსენებდათ.

ნინოს ბრწყინვალე ფორმა უფრო და უფრო გამოჩნდა მეჯლისის სცენაში. შავი გედის პა დე დეს კოდაში, რომელშიც მან ასევე დიდი ხანია ოქროს სტანდარტი დაამკვიდრა, ანანიაშვილმა მაყურებელი გააოცა დიდი ფუტეტების სწრაფი, მკვეთრი, სუფთა შესრულებით.

მისი პარტნიორთან — დენის მატვიენკოსთან, ცეკვა მეორე სპექტაკლში კიდევ უფრო ჰარმონიული

Nina's smile makes people happy. Nina's sadness moves people's hearts. All of her performances were full of love. Her love for ballet, for Georgia and for Japan.

Nina Ananiashvili and her company, The State Ballet of Georgia, made a Japan tour in June and July. The tour started with *Swan Lake* (Alexei Fadeychev's version) on June 24 in Tokyo and returned to Tokyo Bunka Kaikan on July 19. I saw the first and last *Swan Lake* performances (June 24, July 19) and the "Special Program" on July 21.

When comparing the two performances of *Swan Lake*, Nina seemed to be in better form on July 19. In spite of being near the end of the tour, she did not show any signs of fatigue at all.

In the lakeside scene in Act 1, Scene 2, her Odette appeared from stage left and met the prince. They danced the grand adagio lyrically and supplely. Her port de bras showed absolute perfection, which always has been the gold standard since her debut. It gave reality to mystical existence, that is, she was a swan but, at the same time, she was human. Further, she made each pose carefully throughout her body, with unparalleled accuracy and exquisite phrasing. It was a moment in which one was reminded of the utterly genuine beauty of form in classical dance.

Nina's excellent condition was increasingly displayed during the ballroom scene. At the coda of the Black Swan pas de deux, in which she has also set the gold standard for a long time, she astounded the audience with fast, sharp, clean turns in the series of grand fouettés. At times, she even led the music, rather than accelerating into tempo.

Her partnership with Denis Matvienko, guest artist, was even better harmonized than in the first performance. His technique, which is itself the ideal in comportment, was perfectly clean at all times, and the elation of his jumps, as if he were softly floating, was especially unforgettable.


At the record-setting long curtain call, Nina made the audience more and more fervent with her



東京文化会館の舞台上で信頼するパートナーたちに囲まれて。マトヴィエンコ、ロットバルト役のアフメテリと ©Hidemi Sato



7月19日、「白鳥の湖」終演後、ニーナを祝福するマトヴィエンコ ©Hidemi Sato



グルジア外相である夫君のグリゴール・ヴァシャーゼ、長年の盟友アレクセイ・ファジェーチェフと楽屋で ©Hidemi Sato



日本ツアー千秋楽を祝して記念撮影 ©Hidemi Sato



何度も繰り返された「白鳥の湖」のカーテンコール。バド・ブーレで出て行くニーナ ©Hidemi Sato

右/グルジアの国旗をまもって、観客に伝えるニーナ ©Hidemi Sato



ニーナ、 ありがとう!

プリマとして、芸術監督として今回も大活躍。
ニーナの周りは笑顔がいっぱい!



上/「特別プログラム」の華やかなカーテンコール
下/6月30日、「白鳥の湖」が上演された兵庫県立芸術文化センターで行われたサイン会にて

七月二十一日、千秋楽となった「特別プログラム」を終え、約一カ月におよぶ長い日本ツアーを締めくくったニーナ。

「素晴らしい気分です。また近いうちに日本を訪れて舞台をお見せしたいわ。そんなにお待たせしないつもりです。今回みんなから「これが最後の『白鳥の湖』だなんて」と言われたの。「十周年後にも私の白鳥を見たかったら、そのときに踊るわ」と冗談で返しているんだけど。(笑)

彼女のバレエにかける熱い情熱、エネルギーはいつたどこから湧いてくるのだろうか。

「ダンスを続けるのは本当に大変なこと。自分に対しても、カンパニーに対しても、たくさんエネルギーが要求されます。でも日々の訓練が私の力になっているし、神や両親からも大きな力をもらっていると思います。それに私の農園で取れるグルジアの赤ワインを毎日飲んでいられるからか。(笑)」

最後に日本の観客へのメッセージを贈ってくれた。

「いま芸術への支援が世界中で厳しい状況に陥っているなか、温かい応援に心から感謝しています。みなさんが私の舞台を見に劇場に足を運んでくださることがどれだけ私を幸せにしてくれたことか。私の舞台でその幸福をみなさんにお返しすることができていたら、本当にうれしく思います」

იყო. მატვიენკოს ტექნიკა, სრულყოფილებამდე დახვეწილი, გამუდმებით სუფთაა. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო მისი ნახტომების სიმსუბუქე, რომელიც თითქოს ჰაერში შეყოვნების შთაბეჭდილებას ქმნიდა.

რეკორდული ხანგრძლივობის ოვაციის დროს ნინომ მაყურებელში კიდევ უფრო მეტი აღტაცება გამოიწვია გულუხვობით, რომელიც არა ერთ პადე ბურეში, პირუეტსა და მატვიენკოს მიერ მის აწევებში გამოიხატა.

„სპეციალური პროგრამა“ დასის ახლანდელი მდგომარეობის მაჩვენებელი რეპერტუარით იყო წარმოდგენილი. ნინო და წამყვანი სოლისტი ვასილ ახმეტელი ფრედერიკ ეშტონის „მარგარიტა და არმანში“ გამოჩნდნენ. ბალერინა მთავარი გმირის განწყობას გადმოსცემდა ოთხი განსხვავებული ფერის კოსტიუმით – მკვეთრად წითელი, ქათქათა თეთრი, შავი და მკრთალი იასამნისფერი ბოლო სცენისთვის.

ნინო მარგარიტას როლის შესრულებისთვის დაბადებულს ჰგავდა. მან დრამა სრულად აჩვენა სხეულით – კისრისა და მხრების ხაზებით, იდაყვებით, თითის წვერებით, სხეულის ზედა ნაწილის დახვეწილი მოხრით და პუანტებზე მუშაობით. არაფერი იყო გადაჭარბებული ან ხელოვნური. თუმცა მან აჩვენა ის, რაც ამ როლის არც ერთი სხვა შემსრულებლისგან არ მინახავს – მოძრავი, ემოციური, ნამდვილი სიყვარულის დემონსტრაცია. მისი პარტნიორი ახმეტელი თანამონაწილეობას დელიკატური ქმედებით აჩვენებდა და მარგარიტას მიმართ აღტაცებას, დუეტის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში, ისე გადმოსცემდა, თითქოს მოკრძალებას და ზრუნვას უმშვენიერესი, ახლად გაშლილი ყვავილის მიმართ გამოხატავდა. არმანის გულწრფელი სიყვარული მარგარიტას მიმართ კარგად ერწყმოდა ახმეტელის ფაქიზ სასცენო ხასიათს.

„საგალობელი“, რომელიც იური პოსოხოვმა ამ დასისთვის დადგა, სხვადასხვა ფორმებისგან შემდგარი მშვენიერი ნაშრომია. პირველად სცენაზე მოყვითალო ფერის განათებაში ორი მამაკაცი გამოჩნდა. მამაკაცთა გუნდის მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორული სიმღერები ძლიერ, ლირიკულ ექოს ქმნიდა და უნიკალური სიტბოს შეგრძნებას აჩენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ეკა სურმაგასა და ვასილ ახმეტელის გულიდან წამოსული შეგრძნებების პადე დე, რომელმაც პოეტური სამყარო განასახიერა. სურმაგას პუანტებზე ცეკვა სუფთა და თანაბარი იყო. იგი მუსიკალური ჩანდა ჯორჯ ბალანჩინის „Duo Concertant“-ში და განსაკუთრებულად შესამჩნევი იყო მშვიდი, მანათობელი მშვენიერებით. აშკარაა, რომ ის ახლო მომავალში დასის ერთ-ერთი ვარსკვლავი იქნება.

პროგრამაში ასევე წარმოდგენილი იყო ალექსეი რატმანსკის „ბიზეს ვარიაციები“ და ირჟი კილიანის „Falling Angels“.

characteristic generosity, appearing many times in front of the curtain with pas de bourée, pirouettes, and lifts with Matvienko.

The “Special Program” was filled with repertory that reflected the current status of the company. Nina and Vasil Akhmeteli, a leading soloist, starred in *Marguerite and Armand* by Frederick Ashton. Nina projected the heroine’s psychological state at each scene with four different costumes, cardinal red, stark white, black, and, in last scene, pale lilac.

Nina seemed born to dance Marguerite. She expressed the drama throughout with her entire body – by the line from her neck to her shoulders, elbows, and fingertips, with exquisite bending of the upper body, and with strong point work. There was nothing exaggerated, nothing artificial. However, she gave the impression of surging, turbulent love – a manifestation of pure love, which I have never seen in any other performer in this role. Her partner, Akhmeteli, showed commitment in his delicate interaction and support and exuded his every admiration for Marguerite throughout the duet as if he were kneeling and venerating this gorgeous flower in full bloom, and then he gently caressed her. Armand’s sincere love for Marguerite fit in with Akhmeteli’s neat stage manner, which also projected his conviction of Nina’s trust toward him.

Sagalobeli, created by Yury Possokhov for this ballet company, was a fine work consisting of various formations. At the beginning, two men emerged onstage in sepia colored spotlights. Georgian folk songs by an unaccompanied male chorus echoed something plangently lyrical, giving a feeling of unique warmth rooted in life culture. Particularly notable was a pas de deux by Eka Surmava and Akhmeteli – heartfelt and embodying the world of poetry. Surmava’s point work was clear and smooth. She displayed much musicality in *Duo Concertant* by George Balanchine, and her shining cool beauty was particularly eye-catching. It is clear that she will be one of the star dancers of the company in the near future.

Bizet Variations by Alexei Ratmansky and *Falling Angels* by Jiri Kylian also were performed.



ვასილ ახმეტელი, ნინო ანანიაშვილი და დენის მატვიენკო საპროგრამის შემდეგ. 19 ივლისი. ტოკიო. ჰიდემი სეტოს ფოტო. VASIL AKHMETELI, NINA ANANIASHVILI AND DENIS MATVIENKO AFTER A PERFORMANCE. JULY 19, TOKYO. PHOTOGRAPH BY HIDEMI SETO

ბრავო, ნინო! BRAVO, NINAI!

OKINAWA TIMES 05.07.2012

საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ოკინავას სამოქალაქო ცენტრში 4 ივლისს „გედების ტბა“ წარმოადგინა. მსოფლიოში განთქმულმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა, გედების დედოფლის როლის ელეგანტური და გრაციოზული შესრულებით მაყურებელი მოაჯადოვა.

ანანიაშვილმა წელს მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე აღნიშნა. მან საოცრად შეასრულა ოდეტას (თეთრი გედი) და ოდილიას (შავი გედი) განსხვავებული როლები, დახვეწილი თამაშითა და ელეგანტური მოძრაობით, რითაც სპექტაკლის შემდეგ ფეხზე მდგომი მაყურებლის 10 წუთზე მეტხნიანი ოვაცია დაიმსახურა.

Swan Lake was performed by the State Ballet of Georgia at Okinawa Shimin Kaikan on July 4. The world-renowned ballerina, Nina Ananiashvili, overwhelmed the audience, dancing the Swan Queen with elegance and grace.

Ananiashvili celebrated her 30th anniversary on stage this year. She admirably danced the different characters of Odette (White Swan) and Odile (Black Swan), with polished acting talent and elegant movements and received a standing ovation for more than 10 minutes at curtain call.



ნინო ანანიაშვილი.
„გედების ტბა“.
ჰიდემი სეტოს ფოტო
NINA ANANIASHVILI.
SWAN LAKE.
PHOTOGRAPH BY HIDEKI SETO

მაყურებელმა საოცნებო სამყარო იხილა THE AUDIENCE TASTED THE DREAM WORLD

OKINAWA TIMES 05.07.2012

ნინო ანანიაშვილმა ოკინავას სამოქალაქო ცენტრის სავსე დარბაზში „გედების ტბის“ ულამაზესი წარმოდგენა აჩვენა. ეს იაპონიაში მისი ბოლო გასტროლი იყო. მსოფლოში ცნობილი პრიმა-ბალერინას ცეკვას მაყურებელი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა.

ანანიაშვილმა მოქნილი პორ დე ბრა და ბრუნები, ისევე, როგორც ბრუნის მყარი ლერძი აჩვენა და მაყურებელი პრინცთან ჰარმონიული ცეკვითაც მოაჯადოვა. მაყურებლის ფეხზე დამდგარ, უწყვეტ ოვაციას მან ღიმილით უპასუხა.

10 წლის მოე ჰიგაონა, რომელიც 6 წელია საბალეტო განათლებას იღებს, წარმოდგენის შემდეგ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოჩნდა: „ანანიაშვილის მიერ თეთრი და შავი გედის განსხვავებული ხასიათის გადმოსაცემად შესრულებული სამსახიობო თამაში საოცარი იყო. მივხვდი, რაოდენ დიდი შრომა მელის წინ“.

საცუკი ჰიგა, რიუკიუს დასის მოცეკვავე, წარმოდგენებს როგორც 3, ისე 4 ივლისსაც დაესწრო და კმაყოფილმა განაცხადა: „მისმა მოქნილმა ფიზიკურმა გამოხატველობამ სრულიად მომაჯადოვა. აწვევის მომენტებში თითქოს დრო ჩერდებოდა და საოცნებო სამყაროში ვხვდებოდი“.

Nina Ananiashvili danced Swan Lake gorgeously before a full-house at Okinawa Shimin Kaikan. This is her farewell tour of *Swan Lake* for Japan. In order to see the outstanding work of the world-renowned prima ballerina, the audience gave her each movement complete attention.

Ananiashvili showed supple port-de-bras and turns with firm axis of rotation and enchanted the audience also by her harmonious dancing with the Prince, especially the lifts. She responded with smiles to applause from the audience during uninterrupted standing ovation.

Moe Higaonna, 10 years old and who has practiced ballet for 6 years, was apparently inspired by the performance and said, “Her acting to show different character of white swan and black swan was amazing. I should work harder.”

Satsuki Higa, dancer of Ryukyu Dance, saw their performances both on July 3 and 4 and said contentedly, “I was drawn to her supple physical expression. It was as if time stops at scenes of lift and I tasted the dream world”.



ნინო, მომსუსხველად შავი და დელიკატურად თეთრი

NINA, BEWITCHING BLACK AND DELICATE WHITE

10.07.2012 OKINAWA TIMES

ნინო ანანიასვილი
„გედების ტბა“
ჰიდემი სეტოს ფოტო
NINA ANANIASHVILI
SWAN LAKE
PHOTOGRAPH BY HIDEKI SETO

მაყურებელი ანანიასვილის გამორჩეულად გამომხატველმა უნარმა მიიზიდა. მან გარკვევით გადმოსცა ოდეტას (თეთრი გედი) და ოდილიას (შავი გედი) განსხვავებული ხასიათი. მაღალი კლასის ტექნიკამ, რომელიც 32 ფუეტეს შესრულებასა და გედის გამომსახველი მკლავების მოქნილ მოძრაობაში გამოჩნდა, თეატრის მაყურებლისგან განმეორებითი ოვაცია დაიმსახურა.

კიკუკო ნანჯო, კიკუკო ნანჯოს საბალეტო ინსტიტუტიდან: „შესრულება მომავალი დობელი იყო და სრულად ჩამითრია. იყო სცენა, როდესაც შავი გედი თითქოს თეთრ გედში გარდაიქმნა. ზოგიერთი ბალერინა მკლავების იგივე მოძრაობას ასრულებს, თუმცა ანანიასვილმა ლამაზად მიანიშნა თეთრის გედის მოძრაობაზე“. ნანჯოზე შთაბეჭდილება დატოვა ანანიასვილის მიერ მხრების ისეთმა გამოყენებამაც, რომელმაც მკლავებისა და ზურგის მოქნილი მოძრაობა გამოიწვია. ისევე, როგორც მისმა „ატიტუდმა“ ერთ ფეხზე დგომისას, მეორე ფეხის უკან მოხრით და პა დე დეს დროს მისი თვალების პარტნიორისაკენ მიმართვამ: „მისი გამომსახველობა საოცარი იყო და ტექნიკის ფარგლებს სცილდებოდა“.

საჩიკო ტაკარამ აღტაცებით აღნიშნა: „მისი შინაგანი მგრძობელობა საოცარია. მისი ოდეტა უმანკო და მგრძობიარე იყო და ვფიქრობდი, როგორ ოდილიას შექმნიდა. ოდილიას შური და მიდრეკილება ლალატისადმი მან მშვენივრად გადმოსცა. განსხვავებული ხასიათების გამოკვეთილად შექმნა ცეკვის დროს საოცარი აღმოჩნდა. ბოლო სცენის დროს თვალებზე ცრემლი მომადგა. გავიაზრე, რომ მოცეკვავის უნარი მის მიერ მაყურებლისათვის ემოციის გადაცემაზე და მოკიდებული. ანანიასვილის წარმოდგენისაგან დიდი ძალა მივიღე“.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სპექტაკლი „გედების ტბა“ დასის სარეპეტიციო დარბაზში იწყება თითქოს ამ დადგამს ახლებული შთაბეჭდილება დატოვა. მაყურებლის ყურადღება დაიმსახურა კორდებალეტის ერთიანმა სახემაც.

აკარი კიკუმურამ, ლა პლაჟის საბალეტო სკოლიდან, ტოკიოში ნინო ანანიასვილის გამოსვლა 20 წლის წინათაც ნახა: „მაშინ ის თოჯინასავით მომხიბვლელი იყო და დინამიკურ ცეკვავდა, თუმცა ახლა ზრდასრული გამომსახველობაც აჩვენა. დიდი მიღწევაა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია ასეთი დონის შესრულება“. კიკუმურას ანანიასვილის კლასზე დასწრების საშუალებაც ჰქონდა და დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იყო პრიმა-ბალერინას მიერ ყოველ მცირე მოძრაობის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით: „ანანიასვილი მისაბაძი მაგალითია — ასეთი მასშტაბის ვარსკვლავი საბაზისო კლასსაც დეტალურად არჩევს“. კიკუმურას თქმით, ანანიასვილის მიდგომა სწავლებისადმი დასის ახალგაზრდა თაობაზეც აისახება: „დასს მონდომება და მუსიკალური ტალანტი გააჩნია და რა თქმა უნდა, იდეალიც ჰყავს ნინოს სახით“.

Nina Ananiashvili and the State Ballet of Georgia had performances at Okinawa Shimin Kaikan on July 3 and 4. This is Ananiashvili's farewell tour of *Swan Lake* for Japan and a full house audience came to see her last *Swan Lake*, applauding for more than 10 minutes at the curtain call.

It was Ananiashvili's distinguished expressive power that attracted the audience and she clearly delineated the different characters of Odette (White Swan) and Odile (Black Swan). Her high level of technique such as the series of 32 grand fouéttés and the flexible movement of her arms, suggesting the flapping of swan wings, brought repeated applause from the audience of the theatre.

Kikuko Nanjo of Kikuko Nanjo Ballet Institute was thrilled and said, "It was enchanting and I was drawn." She continued, "There was a scene when the Black Swan seemed transformed into the White Swan. Some ballerinas flap [their arms throughout this scene] remaining as the Black Swan but she beautifully suggested the White Swan." Nanjo was also impressed by Ananiashvili's usage of shoulders which created supple movement of arms and back; her "attitude" pose, standing on one leg with the other leg bent behind; the direction her eyes toward her partner during pas de deux and said, "Her expressiveness was amazing, going far beyond technique."

Sachiko Takara of Sachiko Takara Ballet Company and Institute expressed

ეკა სურმავა, დასის სოლისტი:

იაპონიაში მომეცა საშუალება პირველად გამოვსულიყავი გასტროლზე სოლო პარტიით. „გედების ტბაში“ ოდეტა პირველად 11 ივლისს ქალაქ კაგოშიმაში შევასრულე. ოდილიას ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ცეკვავდა. უბედნიერესი და დაუვიწყარი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. კარგად ვაცნობიერებდი თუ რა დიდი გამოცდა და ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის ვმდგარიყავი სცენაზე ქალბატონ ნინოსთან ერთად და პირველად შემესრულებინა ოდეტას პარტია უცხო ქვეყნის სცენაზე. ძნელია სიტყვებით გადმოვცე ის ემოცია და შთაბეჭდილება რაც ამ სპექტაკლმა ჩემზე მოახდინა. ვთვლი, რომ ძალიან ბედნიერი და იღბლიანი ადამიანი ვარ. ამ გამოსვლამ დიდი გამოცდილება შემძინა. სპექტაკლთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის რამდენიმე რეპეტიცია, რომელიც თავად ქალბატონ ნინოსთან და ალექსეი ფადეეჩევთან გავიარე“.

admiration, saying, "Her innate sensibility was amazing." And continued, "Her Odette was pure and sensitive. Then, I anticipated how she would create Odile. She beautifully expressed Odile's envy and love of deceit. It was breathtaking that she danced different characters clearly." While Takara was admiring Ananiashvili's technique, she said, "I almost cried at the last scene. I realized again a dancer's ability depends on how she projects emotion to the audience and I got power from her performance."

The State Ballet of Georgia's version started with final rehearsals for the *Swan Lake* performance by an imaginary ballet company and this staging gave fresh impression. Uniformity of corps de ballet also got audience's attention.

Akari Kikumura of La Plage Ballet School saw Nina Ananiashvili's performance in Tokyo about 20 year ago and said, "She was charming like a doll and her dance was dynamic at that time but she showed mature expression this time. It is greatness that she can dance over the years." Kikumura had opportunity to see Ananiashvili's class lesson and was touched by her uncompromising stance even for any tiny movement and said, "I should follow her example – as such a big world-renowned star pursues basic training meticulously." Kikumura also realized that Ananiashvili's coaching has permeated into the younger generation of the company. She continued, "The Company has passion and musical talent and also has Nina san's ideal."

Eka Surmava, company soloist:

During the Japan tour of the company I had my first opportunity to have a solo performance on tour. I danced Odette in *Swan Lake* in Kagoshima on July 11, while Odile was performed by Nina Ananiashvili. It was an unforgettable day in my life, and I acknowledged all the test and responsibility associated with standing on stage next to her and dancing the Odette abroad. It is difficult to express all the emotion and impression I had from this performance. I believe I am really fortunate. The performance has given me a lot of experience, and the several rehearsals I had had with Nina and Alexei Fadeychev were also very important."

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის იაპონიაში გასტროლის შესახებ მასალების მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია ნინო ანანიაშვილის თაყვანისმცემელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ტოკიოში იზუმი ტაკაჰაშამა და მერილის სევილი გონზაგამ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

We would like to thank Manager of the Association of Nina Ananiashvili's Fans in Tokyo Izumi Takahashi and Marylis Sevilla-Gonzaga for their support in preparing materials for the State Ballet of Georgia's tour to Japan.

ოფეტა – ეკა სურმავა, ოდილია – ნინო ანანიაშვილი. „გედების ტბა“. 11 ივლისი. კაგოშიმა
ODETTE – EKA SURMAVA; ODILE – NINA ANANIASHVILI.
SWAN LAKE. JULY 11, KAGOSHIMA



161-ე სეზონის გახსნა

20 ოქტომბერს საბალეტო დასმა 161-ე სეზონი თანამედროვე ამერიკელი ქორეოგრაფის ტრეი მაკინტაერის ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამოთი გახსნა. წარმოდგენილ იქნა „წამი გარდასახვამდე“ და პრემიერა ამავე ქორეოგრაფის ბალეტისა „ეს თავდაყირა სამყარო“. პროგრამაში ასევე წარმოდგენილი იქნა ირუი კილიანის „ექვსი ცეკვა“.

OPENING OF THE 161ST SEASON

The evening of one act ballets by the contemporary American choreographer Trey McIntyre opened the 161st ballet season on October 20. The program featured *Second Before the Ground*, as well as the Tbilisi premiere of *Oh, Inverted World. Sechs Tänze* by Jiri Kylián was also included in the evening's program.



ბიარიცში, ბურნონვილის სკოლაში

ბიარიცში ბურნონვილის ტრადიციული საზაფხულო სკოლის მუშაობას, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ხელშეწყობით, წელსაც საბალეტო დასის რამდენიმე მსახიობი ესწრებოდა. ბურნონვილის ტექნიკისა და სტილის შესახებ ცნობილი ქორეოგრაფების მასტერ-კლასებში ნინო მათიაშვილი, ანა ალბუთაშვილი, მამუკა კიკალიშვილი და გიორგი მშვენერაძე მონაწილეობდნენ.

AT THE BIARRITZ SCHOOL OF BOURNONVILLE

The annual summer school of Bournonville in Biarritz was again undergone by several dancers of the State Ballet of Georgia, with the support of Friends of the Georgian Ballet. The master classes on the technique and style of the famous choreographer were attended by Nino Matiasvili, Ana Albutashvili, Mamuka Kikalishvili and Giorgi Mshvenieradze.



ფრანკ ანდერსენი
ანდერსენი
ბიარიცის სემინარის
პარტიციპანტი
მონაწილეობდა
FRANK ANDERSEN
WITH THE GEORGIAN
PARTICIPANTS OF
THE BOURNONVILLE IN
BIARRITZ WORKSHOP

დონეცკის საბალეტო ფესტივალი

დონეცკში, ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალში „ბალეტის მსოფლიო ვარსკვლავები“, მონაწილეობდა პრიმა - ბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელმაც 12 ოქტომბერს დენის მატვიენკოსთან ერთად პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ იცეკვა. ფესტივალის გალა-კონცერტში ასევე მონაწილეობდა საბალეტო დასის სოლისტი ნინო მათიაშვილი და მსახიობი მამუკა კიკალიშვილი, რომლებმაც შეასრულეს პა დე დე „არლეკინადადან“. ფესტივალის დახურვაზე კი ნინო ანანიაშვილმა და დენის მატვიენკომ, ახალგაზრდა ქართველ მოცეკვავეებთან ნინო მათიაშვილთან და მამუკა კიკალიშვილთან ერთად, იცეკვეს პა დე დე ა. ადანის ბალეტიდან „კორსარი“.

THE DONETSK BALLET FESTIVAL

Prima ballerina Nina Ananiashvili participated in the World Ballet Stars international festival in Donetsk, Ukraine. Ananiashvili danced *Swan Lake* by Pyotr Tchaikovsky on October 12, partnered by Denis Matvienko. The gala concert dedicated to the opening of the festival also saw dancer of the State Ballet of Georgia, Mamuka Kikalishvili, perform a variation from *Harlequinade*. At the conclusion of the festival, Nina Ananiashvili and Denis Matvienko, joined by Nino Matiasvili and Mamuka Kikalishvili, performed the pas de deux from *Le Corsaire* by A. Adam.



ვადიმ პისარევი, ნინო ანანიაშვილი, დენის მატვიენკო, მამუკა კიკალიშვილი, ნინო მათიაშვილი
VADIM PISAREVI, NINA ANANIASHVILI, DENIS MATVIENKO, MAMUKA KIKALISHVILI, NINO MATIASHVILI

„ჟიზელი“ ევროპის სახლში

„ჟიზელი მოკვდა, გაუმარჯოს ჟიზელს“ – კლასიკური საბალეტო რეპერტუარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბალეტის შესახებ, ამ ცოტათი უცნაური სათაურით, ევროპის სახლში 2011-2012 წლების სეზონის მორიგი საჯარო ლექცია 24 ოქტომბერს გაიმართა. პროექტის – „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ბალეტის ფონზე“ ავტორმა და თანამედროვე



ხატუნა მზარელუა
KHATUNA MZARELUA

ცეკვის მკვლევარმა ხატუნა მზარელუამ ყურადღება, ამჯერად, ბალეტ „ჟიზელის“ ერთმანეთისაგან განსხვავებულ დადგმებზე შეაჩერა, და ასევე, იმ გავლენაზე ისაუბრა, რასაც საბალეტო კოსტიუმი ახდენს მოძრაობის ჩამოყალიბებაზე.

საუბარი შეეხო შვედი ქორეოგრაფის, მატს ეკის ცნობილ „ჟიზელს“, რომელიც 1982 წელს შეიქმნა. მატს ეკმა, 1871 წელს, ბრწყინვალე ფრანგული ჯგუფის მიერ შექმნილი ბალეტის სრულიად ახლებური გააზრება შემოგვთავაზა; ნინო ანანიავილის ჟიზელი ვ. ვასილიევის სპექტაკლიდან (1997), იმითაც არის საინტერესო, რომ ამ დადგმისთვის კოსტიუმები ფრანგული მოდის ერთ-ერთმა დიდოსტატმა იუბერ დე ჟივანშიმ შექმნა.

ამ საინტერესო საჯარო ლექციაზე „ჟიზელის“ კიდევ ერთი განსხვავებული დადგმის,

ავსტრალიელი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის გარი სტიუარტის ნაწყვეტები აჩვენეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სამწუხაროდ, არ შემონახულა ჭაბუკიანისეული რედაქციის ჩანაწერი. მის შესახებ მხოლოდ რეცენზიებით, მოგონებებითა და ფოტოებით შეიძლება მსჯელობა.

ერთმანეთისაგან განსხვავებულ რამდენიმე „ჟიზელს“ ერთი უმანკო გოგოს სახელი ართიანებს, რომელიც დიდი კლასიკური ბალეტის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. ამიტომაც, როგორც ჩანს, ამ ბალეტის თემა ამოუწურავია როგორც ქორეოგრაფებისთვის, ისე მკვლევარებისთვის.

ევროპის სახლში მორიგი საჯარო ლექციის თემა კვლავ კლასიკური ბალეტი იქნება და ბენჟამენ მილპიეს მიერ დადგმული „სილფიდების“ ახალ და თანამედროვე ვერსიას შეეხება.

GISELLE AT THE EUROPE HOUSE

“Giselle is dead, long live Giselle” was the somehow strange title of the 2011-2012 season’s public discussion at the Europe House in Tbilisi, which took place on October 24 and was dedicated to one of the famous classical repertory ballets. Khatuna Mzarelua, contemporary choreography researcher and author of the project “Single and Multi-faced Europe Through the XX and XXI Century Ballet”, focused on different stagings of the ballet and the effect of ballet costume on developing movement.

The discussion concerned a well-known version of *Giselle* by Swedish choreographer Mats Ek, created in 1982. Ek presented an entirely fresh approach of the ballet staged in 1871 by the brilliant French group; Costumes by one of the masters of French fashion, Hubert de Givenchy were one of the reasons Nina



Ananiashvili’s *Giselle* from the V. Vasilyev show (1997) was notable for.

The discussion featured footage from another different staging by the Australian dancer and choreographer Garry Stewart. It was noted at the meeting that, unfortunately, no footage of the Chabukiani redaction has been preserved to this day, leaving only reviews, memories and photographs for discussion.

The various stagings are connected by one little girl’s name, which has turned into a kind of symbol of the grand classical ballet. The topic of this ballet seems inexhaustible for choreographers and researchers alike.

The next public lecture at the Europe House will also concern classical ballet. Topic of the meeting will be Benjamin Millepied’s new and contemporary staging of *Les Sylphides*.

ეს თავდაყირა სამყარო

Oh, Inverted World

“And if you’d ‘a took to me like
A gull takes to the wind,
Well, I’d ‘a jumped from my tree,
And I’d a danced like the king of the eyesores”

The Shins; Oh, Inverted World; New Slang





რამდენ ამერიკულ ფილმში გინახავთ კაბრიოლეტში მსხდომი ახალგაზრდები, თავწაკრულები და თმაგაშლილები, რომლებიც მაღალი სიჩქარით მიქრიან გზებზე, ხმას აყოლებენ სამოცდაათიანელების ამერიკულ სიმღერებს და უკან იტოვებენ შემოდგომის ფერად პეიზაჟებს?! მსგავსი კადრები ევროპულ ფილმებშიც ბლომდაა, თუმცა, ქორეოგრაფ თრეი მაკინტაერის „ეს თავდაყირა სამყარო“ წმინდა ამერიკული ბალეტია, რომელიც ბევრისთვის შესაძლოა, თავისი ახალგაზრდული მუხბითა და ენერგეტიკით, ბობ დილანის თუ კერუაკის თავისუფლების მაძიებელი თაობების შემოქმედებასთან ასოცირდებოდეს.

ბალეტი ამერიკული ინდი როკ ბენდის, The Shins-ის სიმღერებზეა დადგმული და სახელიც ამავე ჯგუფის ერთ-ერთი ალბომის სათაურის მიხედვით აქვს შერჩეული. ტრეი მაკინტაერისთვის The Shins-ის მუსიკა პირად მოგონებებს უკავშირდება, წლების წინ ამ ალბომით მისი გული ერთმა ადამიანმა დაიპყრო: „და მე ორივე შემთხვევარა — ეს მუსიკა და ის ადამიანი. ეს მძაფრი სიყვარულის ისტორია იყო, ძალიან მხურვალე და ამიტომ მაღევე განელდა“. შემდეგ მან მუსიკალური ბენდის წევრებთან ერთად ალბომიდან Oh, Inverted World-ის შვიდი სიმღერა შეარჩია

How many American movies have you seen with young people, in headscarves and with untied hair, whiffing on roads, singing to tunes of the 1970s American songs and leaving colourful autumn landscapes behind? Such pictures can be seen in some European films too, but Oh, Inverted World by Trey McIntyre is a true American ballet, youthful energy of which might, for many, invoke memories of artistic creations by the freedom-seeking generations of Bob Dylan and Kerouac.

The ballet is based on songs by the American indie rock band The Shins, and is titled after one of the band's albums. For Trey McIntyre, music by the band has personal memories. There was somebody who caught his heart with the said album: "And I fell in love with both the music and the person. It was a story of passionate love, and so it diminished soon". Together with the band members, he selected seven songs from Oh, Inverted World "the sound of which resembled dance very much". This is how the 27-minute choreography, relating to tense past memories and feelings, was created.

„რომელთა ჟღერადობაც ძალიან ჩამოჰგავდა ცეკვას“ და ასე შეიქმნა 27 წუთიანი ქორეოგრაფია, რომელიც წარსულის მძაფრ მოგონებებსა და განცდებს უკავშირდება.

ბალეტის მსოფლიო პრემიერა 2011 წლის 12 აგვისტოს გაიმართა კოლორადოში და ამერიკელი კრიტიკოსების მხრიდან მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ქართულ დასს კი მისი ცეკვის უფლება ქორეოგრაფმა პირველი ჩვენებიდან ერთი წლის თავზე მისცა. დადგმას რვა მონაწილე ჰყავს, ოთხი ბალერინა და ოთხი მოცეკვავე მამაკაცი. მსახიობები გამოწყობილები

არიან ფერად და მინიმალისტურ კოსტიუმებში და ცეკვავენ მოკრძალებულად განათებულ, ყოველგვარ დეკორაციას მოკლებულ სცენაზე.

„ეს თავდაყირა სამყარო“ ქართული დასის მონაწილეობით საინტერესო რამდენიმე მიზეზით გამოდგა: მასში საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება მიეცათ კორდებალეტის მსახიობებს, მათგან რამდენიმე ძალიან ახალგაზრდა მონაწილეს, რომელთაგანაც, ნაწილმა კარგად, ნაწილმა მეტნაკლები წარმატებით

გაართვა თავი ახალ ქორეოგრაფიას. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს დასის ახალმა მოცეკვავეებმაც: იაზონელმა რიო კატომ და კანადელმა ერიკ ბუროუმ. ორივე მათგანი, ფიზიკური მონაცემებით თუ შესრულების მანერით, ქართულ დასში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან აქამდე მოწვეულ სოლისტებს შორის, ალბათ ყველაზე საინტერესო და ნიჭიერი მოცეკვავეები არიან. ისინი სხვადასხვა საბალეტო სკოლებს წარმოადგენენ, ერთმანეთისგან და ქართველი მოცეკვავეებისგან განსხვავებულად ცეკვავენ, ამიტომ, ამ ინტერნაციონალურმა შემადგენლობამ კიდევ უფრო მეტი

ფერადოვნება და სიმკვეთრე შესძინა ქორეოგრაფიას. ქართველი მონაწილეებიდან განსაკუთრებული სისუფთავით გამოირჩეოდა ნინო მახაჭაშვილის შესრულება. თუმცა, დადგმის უდავოდ ყველაზე დასამახსოვრებელი ცეკვა, ერიკ ბუროუს ბოლო სოლო ნომერი აღმოჩნდა. ამ ძალიან მომხიბვლელმა მოცეკვავემ მის მიერ შესრულებულ თითოეულ მოძრაობაში წარმოაჩინა მთელი ის სილამდე და შინაგანი თავისუფლება, რასაც ძალიან იშვიათად თუ ნახავთ რუსული

საბალეტო სკოლის მოცეკვავეებში და რაც ძალიან სჭირდება ბოდა მაკინტაერის ამ დადგმას.

ვფიქრობ, „ეს თავდაყირა სამყარო“ ერთ-ერთი იმ წარმოდგენათაგანია, რომელიც ერთნაირად მოხიბლავს მათაც, ვისაც კლასიკური ბალეტი საერთოდ არ უყვარს და სტაჟიან, ბევრის მნახველ თეატრალეებსაც. ამიტომ ყველას, ვისაც უბრალოდ რაღაც კარგისა და პოზიტიურის ნახვა გსურთ, აუცილებლად გირჩევთ ნახოთ, ან ხელახლა ნახოთ ეს მართლაც და „თავდაყირა სამყარო“, ამჯერად თეატრში და ამჯერად ნინო ანანიაშვილის დასის შესრულებით.

ტაგუა



ერიკ ბუროუ
ERIC BURROUGH

The world premiere took place on August 12, 2011 in Colorado, to a wide-ranging critic reception. The choreographer granted the State Ballet of Georgia the right to perform the work a year after its first showing.

The staging involves eight participants – four ballerinas and four male dancers. They are dressed in colorful, minimalistic costumes and perform on a reservedly lit stage devoid of any sets.

Oh, Inverted World with the State Ballet of Georgia's participation proved intriguing for several reasons: corps de ballet dancers, including some very young, were able to demonstrate their abilities; some of them managed the new choreography well, while the others did it with

varying success. The production featured new dancers of the company – Ryo Kato from Japan, and the Canadian Eric Burrough. Both of them seem some of the most interesting and talented dancers among the foreign soloists invited by the company so far. They represent various ballet schools, and dance differently from each other and the Georgian dancers. This international composition brought more color and sharpness to the choreography. Of the Georgian participants, Nino Makhatchashvili's performance was

especially clean, although the most memorable dance of the evening undoubtedly came from the Eric Burrough solo. This very sympathetic dancer showed all the liveliness and inner freedom, which is seldom found in the Russian ballet school dancers, and was especially needed for this McIntyre staging.

I believe *Oh, Inverted World* is one of those shows that will equally fascinate those who do not like classical ballet at all and the seasoned theatre-goers. Therefore I would recommend everyone wishing to see something good and positive to check, or re-live, this truly Inverted World. This time it will be in a theatre, and with the participation of Nina Ananiashvili's company.

www.tabula.ge



ტრევის უოკერი: „თქვენი რეპერტუარისთვის ეს მშვენიერი შენაძენია“

TRAVIS WALKER: “IT IS A GREAT ADDITION TO YOUR REPERTORY”

გვანცა ბადურაშვილი

By Gvantsa Badurashvili

<p>ტრევის უოკერი თრეი მაკინტაერის პროექტის ერთ-ერთი წევრია, რომელიც სექტემბერში ჩვენს თეატრს ეწვია მაკინტაერის ბალეტის – „ეს თავდაყირა სამყარო“ დასადგმელად. „არაბესკისთვის“ საუბარი პრემიერის წინ ჩავიწერეთ:</p>	<p>Travis Walker is one of the members of the Trey McIntyre Project, and he visited our theatre in September to stage <i>Oh, Inverted World</i> by the choreographer for the State Ballet of Georgia. <i>Arabesque</i> spoke to him ahead of the premiere:</p>
---	--

ჩვენს საბალეტო დასთან ეს თქვენი პირველი შეხვედრაა. როგორ წარიმართა დადგმის პროცესი?

დასთან ჩემი გამოცდილება ხანმოკლეა — მათთან მხოლოდ ორკვირანახევარი ვიმუშავე, თუმცა ჯერჯერობით ძალიან კმაყოფილი ვარ. მოძრაობები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც ისინი არიან მიჩვეულები, თუმცა სტილი მათ სწრაფად აითვისეს და ვფიქრობ, რომ სპექტაკლი კარგი იქნება. ჩემი აზრით, ეს ბალეტი დასის რეპერტუარისთვის მშვენიერი შენაძენია და მისი არსებობა რეპერტუარში მათთვის სასარგებლო იქნება.

თქვენ თრეი მაკინტაერის კომპანიაში ცეკვავთ და ამ ბალეტშიც მონაწილეობთ. როგორ შეიქმნა ბალეტი „ეს თავდაყირა სამყარო“?

ეს შედარებით ახალი ნაშრომია, რომელიც ორი წლის წინ დაიდგა სან ფრანცისკოში, დასისთვის Smuin Ballet. „თრეი მაკინტაერის პროექტის“ დაწყებიდან პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მაკინტაერმა ნაშრომი სხვა დასისთვის დადგა. ვმონაწილეობდი პირველ პრემიერაში, ისევე, როგორც ერთი წლის შემდეგ ვიცეკვე უკვე ამ ბალეტის „თრეი მაკინტაერის პროექტში“ განხორციელების დროს. ნაშრომი დადგმულია პორტლენდური ჯგუფი “The Shins”-ის მუსიკაზე, ალბომს კი „ეს თავდაყირა სამყარო“ ეწოდება. ბალეტი სახელიც სწორედ აქედან მომდინარეობს. Smuin Ballet-ის და „თრეი მაკინტაერის პროექტის“ გარდა, ეს ამ ბალეტის



სხვა დასში დადგმის პირველი შემთხვევაა. ასე რომ მეტად საინტერესო მოვლენაში ვმონაწილეობთ.

იქნებ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ რას წარმოადგენს “Trey McIntyre Project”.

პროექტი ჩაფიქრებული იყო როგორც საზაფხულო დასი. მოცეკვავეებს თრეი პირადად ირჩევდა, მათი თავისუფალი დროის გათვალისწინებით. თრეიმ დასი 2008 წელს, ჯონ მაიკლ შერტთან, დააარსა ბოისში (აიდაჰო). მიმდინარე წელს დასს ხუთი წელი შეუსრულდა და მასში 5 მამაკაცი და 5 ბალერინა მონაწილეობს. თრეისთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა, პროექტის წევრად გახდომისთვის კი მოცეკვავეს გარკვეული ფსიქოლოგია, შრომის ეთიკა და დანარჩენ მოცეკვავეებთან, ისევე, როგორც თრეისთან, კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება სჭირდება. ჩვენ სხვა საბალეტო დასებისგან განსხვავებულად ვმუშაობთ. პროექტში ჩემს მოსახვედრად გარკვეული დრო გახდა საჭირო — თრეი პირველად ამ ნაშრომში მონაწილეობისას გავიცანი Smuin Ballet-ში და ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული აღმოჩნდა. შემდეგ მან ბოისში მიმიწვია, რათა დასი გამეცნო და მათი მუშაობის სტილი შემესწავლა. ჩვენ მოლაპარაკებებში ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვიყავით ჩართულები, სანამ პროექტში ადგილს შემომთავაზებდნენ. ამის შემდეგ პროექტი ჩემთვის სწორედ ის ადგილი გახდა, რომელშიც კარიერის გაგრძელება მსურდა. იქ მოხვედრამ გარკვეული დრო დაიკავა, მოცეკვავეებს კი დასში შერჩევით იღებენ და ბედნიერი ვარ, რომ მათ მიერ შერჩეულთა შორის ვარ.

This is your first meeting with the State Ballet of Georgia. How did the staging process go?

My experience with the company has been short, two and a half weeks, but so far I am very happy with the progress company has made. The movements are much different than I think the company is used to, but they picked the style up really quickly and I think the piece looks great. And I believe it is going to be a great addition to the company's repertory, and will be great for the company to have it in use. I love people and I love coming in and working with them every day.

You dance in Trey McIntyre's company, and have performed this ballet. How was *Oh, Inverted World* created?

It is a relatively new piece, which was done two years ago for the company called Smuin Ballet in San Francisco. It was for the first time since Trey McIntyre Project started, that Trey McIntyre had done a commission work on a company outside of TMP. I was originally cast the first time it was premiered and we later did it next year with Trey McIntyre Project. It is set on the music of group The Shins, which is a band out of Portland and the title of the album is called *Oh, Inverted World*, so the piece was titled after this album. Besides Smuin and TMP, to my knowledge, this

is the only time this piece has been done in a different company, so it is very exciting.

Please tell us about the Trey McIntyre Project.

Trey McIntyre Project began as a Summer company, with dancers Trey would like to work with and whenever they were available. In 2008 Trey started the company with John Michael Schert based in Boise Idaho. This is the fifth year the company has been around and it involves 5 boys and 5 girls. To work with Trey is such a pleasure. To be a dancer in TMP, the dancer has to have a specific mindset, work ethic and just get along with all the dancers and with Trey. The way we work is much different than in normal ballet companies and companies I've worked at. It took me some time to work with him; I was introduced to Trey through this piece that he brought to Smuin Ballet and from there we worked well together. Then he invited me to come to Boise, to see the company, to get to meet the dancers and to get a feel of how they worked. We had been in discussions for more than half a year before I was offered a job in TMP, and afterwards this was where I wanted to go with my career and I am very happy to work for TMP. It took some time, and the type of dancers that can work for TMP is pretty selective, so I am thrilled that I am one of those dancers.



თრეი მაკინტირე
TREY MCINTYRE

5TH SEASON

მე-5 სეზონი



უკვე მეხუთე წელია, ყოველი ახალი საბალეტო სეზონის გახსნის დღეს, ახალ სეზონს იწყებს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება.

საზოგადოების დაარსებიდან წელს ხუთი წელი შესრულდა. ეს ორგანიზაცია 2007 წელს შეიქმნა საქართველოში აშშ იმჟამინდელი ელჩის მეუღლის მარიელა ტეფტის ინიციატივით. ქალბატონი მარიელა სამი წელი ხელმძღვანელობდა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებას და მრავალი პროექტი განახორციელა. მათ შორის აღსანიშნავია ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეთათვის ყოველწლიური სტიპენდიების გაცემა, რაც მათ საშუალებას აძლევდა გათავისუფლებულიყვნენ სწავლის გადასახადისაგან. უკვე ოთხი წელია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ ბურნონვილის საზაფხულო სემინარში რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბიარიცში იმართება. საზოგადოების მიერ დაწყებული ეს საქმეები ამჟამადაც გრძელდება.

გასულ წელს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებას სათავეში ჩაუდგინენ სარა ვილიამსონი და მიშელ დანი.

160-ე თეატრალურ სეზონზე საზოგადოების მხარდაჭერით 2012 წლის მაისში ვ. ჭაბუკიანის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის ორი სტუდენტი (ნუგა ჩეკურაშვილი და მამუკა კიკალიშვილი) მონაწილეობდნენ ჰელსინკის საერთაშორისო საბალეტო კონკურსში, რის შემდეგაც ისინი გაემგზავრნენ რიგაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს რიგის საგაზაფხულო საბალეტო ფესტივალში და გრან-პრი მოიპოვეს.

მარტში ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა წიგნი-ალბომი „ნინო ანანიაშვილი 30 წელი სცენაზე“. წიგნის პრეზენტაცია თბილისის მარიოტში ბალეტის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებით ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, იუბილეზე ჩამოსული ბალეტის ვარსკვლავები, ქორეოგრაფები და ჟურნალისტები.

გასულ წელს სასწავლებლის 7 მოსწავლე იღებდა საზოგადოების სახელობით სტიპენდიებს.

ახალ 161-ე თეატრალურ სეზონზე, საზოგადოების დამფუძნებლებს იმედი აქვთ, რომ ქართულ ბალეტს კიდევ უფრო ბევრი გულშემოტკივარი დაუჭერს მხარს.

For fifth year in a row, as the new ballet season opens, the Friends of the Georgian Ballet begin their new season too.

The society celebrates its fifth anniversary this year. Founded in 2007 with the initiative by Mariella Tefft, the spouse of the then – Ambassador of the United States to Georgia, the organization was chaired by her for three years and carried out numerous projects, including giving out the yearly scholarships for pupils of the Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art, enabling the young dancers to study free. For the last four years, the young artists of the State Ballet of Georgia have been participating in the Bournonville in Biarritz Summer seminars. These initiatives by the Friends of the Georgian Ballet continue to this date.



Riga Spring Ballet Festival and winning the Grand Prix.

მიჩელ დანი,
ნინო ანანიავილი,
სარა ვილიამსონი

MICHELE DUNN,
NINA ANANIASHVILI,
SARAH WILLIAMSON

In March, the book-album Nina Ananiashvili – 30 Years on Stage was presented at Marriott Tbilisi, with the organization of the



ნინო ანანიავილი და „დენცინგ სტარს“ გამარჯვებული სამორი ბალდე

NINA ANANIASHVILI AND THE WINNER OF “DANCING STARS” SHOW SAMORI BALDE

Since last year, the society has been chaired by Sarah Williamson and Michelle Dunn.

During the 160th season, with the support of the Friends of the Georgian Ballet, students of the Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art, Nutsa Chekurishvili and Mamuka Kikalishvili, participated in the Ballet Contest in Helsinki, Finland in May 2012, followed by participation in the



მიღების დროს
DURING A RECEPTION

Friends of the Georgian Ballet, and attended by representatives of the diplomatic corps, world ballet stars invited for the anniversary, choreographers and media.

Last year, 7 students of the State School of Ballet Art received scholarships in the name of the Friends of the Georgian Ballet.

On the new, 161st season, the founders of the society hope to see more supporters for the Georgian ballet.



ნინო ანანიავილი
სამართყმელთში
იაპონიის ელჩთან
მასაიოში
კამოჰარასთან და
მის მეუღლესთან
იუნკო
კამოჰარა

NINA ANANIASHVILI
WITH THE
AMBASSADOR OF
JAPAN TO GEORGIA
MASAYOSHI
KAMOHARA AND
HIS SPOUSE JUNKO
KAMOHARA

ბალეტის მეგობართა სეზონის გახსნა

20 ოქტომბერს ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის ფოიეში, საბალეტო სეზონის გახსნამდე, ტრადიციულად შეიკრიბნენ ის ადამიანები, ვინც ახალ სეზონზეც სურვილი გამოთქვა გაწევრიანდეს ამ საზოგადოებაში. ბალეტის მეგობრებს მიესალმა ნინო ანანიაშვილი და მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის. ნაჩვენები იქნა საზოგადოების ხუთი წლის საქმიანობის ამსახველი ვიდეო მასალა. ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებს გადაეცათ საზოგადოების სახელობითი სტიპენდიები:

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების 2012-13 წ. სეზონის სტიპენდიანტები:

ნიკოლოზ სისაური – ანდრეას ჰეიდინგსფელდერის სტიპენდიანტი
ნიკოლოზ ჩიხორია – იზუმი ტაკაჰაშის სტიპენდიანტი
ნიკოლოზ ფირცხელანი – მაიუმი იინოს სტიპენდიანტი
ვასილ წიწილაშვილი – მასაიოში და ჯუნკო კამოჰარას სტიპენდიანტი
გიორგი ბადურაშვილი – ვირჯინია მინგესის სტიპენდიანტი
ნიკოლოზ პაპაშვილი – ფილიპ ლიმეტ დევესის სტიპენდიანტი
ანასტასია ქაჯაია – მაიუმი იინოს სტიპენდიანტი
სოფიო ქარდავა – მარიელა ტეფტის სტიპენდიანტი
სვეტლანა მიმინოშვილი – ლია გოგოლაშვილის სტიპენდიანტი

ბალეტის მეგობართა საზოგადოების
ხელშეწყობის 2012-2013 წლის
სტიპენდიანტებთან

MANAGERS OF THE FRIENDS OF
THE GEORGIAN BALLET WITH 2012-2013
SCHOLARSHIP HOLDERS



NEW SEASON FOR FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

The opening of the new ballet season was traditionally preceded by the gathering of Friends of the Georgian Ballet on October 20, with people wishing to join the society also present. Nina Ananiashvili expressed her gratitude to the members of the organization for their support. Video footage, depicting five years of work by Friends of the Georgian Ballet, was presented at the gathering, while pupils of the Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art were granted this season's scholarships.

Scholarships by the Friends of the Georgian Ballet for the 2012-13 season:

- Nikoloz Sisauri – Andreas Heidingsfelder scholarship
- Nikoloz Chikhoria – Izumi Takahashi scholarship
- Nikoloz Phirtskhelani – Mayumi Iino scholarship
- Vasil Tsitsilashvili – Masayoshi and Junko Kamohara scholarship
- Giorgi Badurashvili – Virginia Mingues scholarship
- Nikoloz Papashvili – Phillipe Limet Dewez scholarship
- Anastasia Kajaia – Mayumi Iino scholarship scholarship
- Sophio Kardava – Mariella C.Tefft scholarship
- Svetlana Miminoshvili – Lia Gogolashvili scholarship

გ.კამოჰარას სახელმწიფო საბავშვო
ხელოვნების სასწავლებლის
მოსწავლეები საქართველოში
იპოქრინის ელემენტის მასაჟით
კამოჰარასთან და მის მეუღლესთან
ჭუნჭო კამოჰარასთან ერთად
PUPILS OF THE VAKHTANG CHABUKIANI
STATE SCHOOL OF BALLET ART WITH
THE AMBASSADOR OF JAPAN TO
GEORGIA MASAYOSHI KAMOHARA AND
HIS SPOUSE JUNKO KAMOHARA



Arabesque N20127

ახალი სოლისტები

NEW SOLOISTS

ახალი სეზონიდან საბალეტო დასის სოლისტებად მიღებულ იქნენ ერიკ ბუროუმ და რიო კატო. ერიკ ბუროუმ საბალეტო განათლება ვანკუვერის საბალეტო აკადემიაში (კანადა) და კანადის ვინიპეგის სამეფო საბალეტო სკოლაში მიიღო. ცეკვავედა სლოვენის ნაციონალურ თეატრში, ირლანდიის საბალეტო დასში და BC Ballet-ში.

რიო კატომ 2003 წელს იაპონიის აკრი ჰორიმოტოს საბალეტო აკადემიაში დაიწყო სწავლა, 2010 წელს კი პორტუგალიის ნაციონალური კონსერვატორიის ცეკვის სკოლა დაასრულა. იგი დაჯილდოებულია იაპონიის საერთაშორისო საბალეტო კონკურსებისა და NBA საბალეტო კონკურსის, ბერლინის 2011 წლის საერთაშორისო ცეკვის ფესტივალის ჯილდოებით.

ერიკ ბუროუმ და რიო კატომ სეზონის გახსნაზე უკვე იცეკვეს თრეი მაკინტაერის ბალეტში „ეს თავდაყირა სამყარო“.



ერიკ ბუროუმ / ERIC BURROUGH



რიო კატო / RYO KATO

Eric Burrough and Ryo Kato have joined the State Ballet of Georgia, starting the new season as soloists. Eric Burrough received his ballet education at the Vancouver Academy of Dance (Canada) and the Royal Winnipeg Ballet School. He danced at the Slovene National Theatre, Ballet Ireland and BC Ballet. Ryo Kato joined the Acri-Horimoto Ballet Academy (Japan) in 2003, and graduated from the Portugal National Conservatory Dance School in 2010. Kato has been awarded prizes at the Japan international ballet competitions, NBA Ballet Competition, and Berlin 2011 International Dance Competition.

Burrough and Kato already danced for the State Ballet of Georgia, featuring in *Oh, Inverted World* by Trey McIntyre at the opening of the new season.



21 ოქტომბერს თრეი მაკინტაერის ბალეტში „წამი გარდასახვამდე“ პირველად იცეკვეს ნუცა ჩეკურაშვილმა და ეკა სურმავამ. ირუი კილიანის ბალეტში „ექვსი ცეკვა“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ ერიკ ბუროუმს, ნიკა ჯაიანს და ტატა ქათამაძეს.

28 ოქტომბერს „დონ კიხოტში“ გრან პას პირველი ვარიაცია პირველად იცეკვა ნინო სამადაშვილმა.

October 21 saw the first performances for Nutsa Chekurashvili and Eka Surmava in *Second Before the Ground* by Trey McIntyre, while Eric Burrough, Nika Jaiani and Tata Katamadze had their maiden appearances in *Sechs Tänze* by Jiri Kylián.

On October 28 Nino Samadashvili danced for the first time in the first variation of the *Don Quixote* grand pas.

ნინო სამადაშვილი. „დონ კიხოტი“
NINO SAMADASHVILI. DON QUIXOTE



სილვია გილემი და მასიმო მურუ (ცენტრში) საქართვლოს სახელმწიფო ბალეტის მსახიობებთან ერთად სპექტაკლის შემდეგ
 SYLVIE GUILLEM AND MASSIMO MURRU (CENTRE) WITH ARTISTS OF THE STATE BALLET OF GEORGIA AFTER A PERFORMANCE

„მარგარიტა და არმანი“ ჩინეთში

საშემსრულებლო ხელოვნებათა ჩინეთის ეროვნულ ცენტრში 16 და 17 ნოემბერს ლა სკალას თეატრისა და მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავებმა სილვია გილემმა და მასიმო მურუმ მთავარი პარტიები იცეკვეს ფრედერიკ ეშტონის ბალეტში „მარგარიტა და არმანი“. სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად ჩინეთში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის მსახიობებიც ჩავიდნენ. ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელთან ნინო ანანიშვილთან თანამშრომლობის შედეგად იქნა მიღებული. „მარგარიტა და არმანი“ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე საბალეტო დასის, მათ შორის თბილისის 8. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, რეპერტუარშია.


MARGUERITE AND ARMAND IN CHINA

China National Centre for the Performing Arts featured world ballet stars Sylvie Guillem and Massimo Murru in principal roles of Frederick Ashton’s *Marguerite and Armand* on November 16 and 17. The shows also saw dancers of the State Ballet of Georgia perform alongside the stars, as decided after collaboration with Artistic Director of the company Nina Ananiashvili. *Marguerite and Armand* is found in repertory of only several ballet companies, State Ballet of Georgia being among them.



10 ნოემბერს იური პოსოხოვის ბალეტში „ანარეკლი“ სოლო პარტიებში პირველი გამოსვლა ჰქონდათ ნინო მათიაშვილს, ნინო სამადაშვილს და რიო კატოს.

Nino Matiashvili, Nino Samadashvili and Ryo Kato had their debut performances in Yuri Possokhov’s *Reflections* on November 10.



ალვა

– პრემიერა რუსთაველის თეატრში

ახალგაზრდა ქართველმა ქორეოგრაფმა მარიამ ალექსიძემ თავის ახალ ბალეტში „ალვა“ ნათელი და ბნელი სამყაროს ერთმანეთთან დაპირისპირების, მუდმივი ჭიდილისა და ჰარმონიული საწყისის თემებზე საკუთარ სათქმელი რუსთაველის თეატრის სცენიდან თანამედროვე ქორეოგრაფიული ენის საშუალებით უთხრა მაცურებელს.

„ალვა“, ისევე როგორც ქორეოგრაფის წინა ნამუშევარი „ატარპანი“, ქართულ ფოლკლორულ თემაზე შეიქმნა. სხვადასხვა კუთხის მითებს, ლეგენდებს, ადათ-წესებს და სიმღერებს

ოგრაფიული მოძრაობების საშუალებით აცოცხლებს. ახალი ბალეტის საფუძვლად ხევსურული მთავარანგელოზის მირონმდინარე ალვის ხის ცნობილი მითოსია აღებული. საინ-

მისი ახალი ნაწარმოებიც მოასმენინა, რომელიც ამ სპექტაკლში პირველად აუღერდა.

ჯგუფი – მხატვარი გოგი ალექსიმესხიშვილი,

და ბალერინა ნათია ბუნტური მონაწილეობდნენ. სპექტაკლისთვის ქორეოგრაფმა სპეციალურად მოიწვია არგენტინელი მოცეკვავე ნაუელ-ალეჰანდრო ვეგა.

„ალვას“ დადგმა რუსთაველის თეატრში პროექტის – „ფანტაზია ქართული ფოლკლორის თემაზე“ ფარგლებში გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდისა და რუსთაველის თეატრის თანამშრომლობით განხორციელდა. სპექტაკლის პრემიერა 30 და 31 ოქტომბერს გაიმართა.

მარიამ ალექსიძეს სამომავლოდ მრავალი საინტე-

ტერესოა ბალეტის მუსიკალური გადაწყვეტაც. სპექტაკლში იოჰან სებასტიან ბახის, არვო პიარტის, ვალენტინ სილვესტროვის, ვიქტორ კისინის და გია ყანჩელის მუსიკა გამოყენებული. სპექტაკლის მუსიკალუ-

რეჟისორი გელა კანდელაკი და მუსიკალური გაფორმების ავტორი კომპოზიტორი ეკატაბაშვილი ხდის.

ერთმომქმედებიან თანამედროვე ბალეტში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ნინო გოგუა, დავით ანაწიაშვილი და ბალეტის მსახიობები შორენა ხაინდრავა, ლანა მღებ-

რიშვილი, ნატალია რიგვავა, სოფო ფანცულაია, ეკატერინე ლომინაძე, უილიამ პრატი, ანტალიის საბალეტო თეატრის მსახიობი გაბრიელ გოგუა

რესო გეგმა აქვს, მათ შორისაა ახალი საბალეტო პრემიერა, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დეკემბერში გაიმართება.

ქორეოგრაფი საგანგებოდ სწავლობს და ქორე-

რი მასალის იდეა ქორეოგრაფს კომპოზიტორმა გია ყანჩელმა შესთავაზა და

ბალეტს განსაკუთრებით შთამბეჭდავს მასზე მომუშავე შემოქმედებითი



Alva

PREMIERE AT RUSTAVELI THEATRE

A young Georgian choreographer, Mariam Aleksidze, used the vocabulary of contemporary choreography to convey her ideas on eternal struggle between the light and the dark, as well as roots of harmony, to the audience from the Rustaveli Theatre stage with her new ballet Alva.

The ballet – like her previous work Acharpani – is based on the topic of Georgian

folklore. Aleksidze spends time studying tales, legends, customs and songs of various regions of Georgia and then uses choreographic movements to make them come alive. Basis for the new ballet was the well-known legend about the Alva tree in the name of the Archangel of the Khevsureti mountainous region. The choice of music is also interesting – the

work features music by Johann Sebastian Bach, Arvo Pärt, Valentyn Sylvestrov, Viktor Kisin and Gia Kancheli. Kancheli himself proposed to the choreographer the idea for musical material, while also showing her his new work, which was then featured for the first time in the ballet.

Collaboration of the creative group of painter Gogi Aleksidze-Meskishvili, director Gela Kandelaki and

author of musical design, composer Eka Tchabashvili makes the ballet especially impressive.

The work was performed by soloists of the State Ballet of Georgia Nino Gogua and David Ananiashvili, dancers of the company Shorena Khaindrava, Lana Mghebrishvili, Natalia Rigvava, Sopo Phantsulaia, Ekaterine Lominadze, William Pratt, as well as artist of the Antalya Ballet Theatre

Gabriel Gogua and ballerina Natia Bunturi. The choreographer also invited Argentinian dancer Nahuel Alejandro Vega for the performance.

The staging of the ballet was carried out in frames of the Fantasy on the Georgian Folklore project, in collaboration with George Aleksidze Foundation and Rustaveli Theatre. The premiere was held on October 30 and 31.

Mariam Aleksidze has many more interesting plans for the future, including a new ballet premiere, to be held at the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

გიგა ხარაძის და
გიორგი იმნაძის
ფოტოგები
Photographs
by Giga Kharadze
and Giorgi Imnadze

ის ვინც ქართული ბალეტის ლეგენდარული მოცეკვავეების თანამედროვე ვერ ვახდა, წარმოდგენას მათ შესახებ უნიკალური კინოკადრებიდან იქმნის. „ქართული ბალეტის ოსტატები“, „აურზაური სალხინეთში“, „იყო შაშვი მგალობელი“, „ვერის უბნის მელოდიები“, „არსენას ლექსი“ – ეს ის ქართული ფილმებია, რომელმაც ქართული ბალეტის ცნობილი მოცეკვავეების სახეები და მათი ცეკვაც შემოგვინახა. ლეგენდარული მოცეკვავეების სახეებს ინახავს გადასაღებ მოედანზე გადაღებული ფოტოებიც... ფოტოები, რომელიც ქართული ბალეტის ისტორიის ერთ-ერთ შთამბეჭდავ დეკადას ასახავს დღეს ეროვნულ არქივში, ასევე თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმშია დაცული.

„საჩუქარი ბალეტის მოყვარულებს“ – ალბათ ასე შეიძლება ვუწოდოთ ჩვენს სპეცპროექტს, სადაც საშუალება გეძლევათ კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით შეიგრძნოთ ქართული ბალეტის წარმომადგენლთა ქორეოგრაფიული ვნება და სულისკვეთება.

Those who were not there at the performing time of the legendary dancers of the Georgian ballet, can spur their imagination through films. Georgian films like *Masters of the Georgian Ballet*, *Mess in the Merry Land*, *There Was Singing Ouzel*, *Vera Melodies*, *Arsene's Poem* have preserved the faces of the well-known dancers of the Georgian ballet, as well as their dancing. The same goal is served by the photographs taken at the filming locations, picturing the most impressive decade of the Georgian ballet history and preserved at the National Archive and the Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography.

Our special project, making it possible for you to once again feel the choreographic passion and fervor of representatives of the Georgian ballet, could be called “a present to the Ballet Lover”.







ფოსტალიონი – ზურაბ კიკაღიშვილი. „ვერის უბნის მელოდია“
(კინოსტუდია „კართული ფილმი“. 1973 წ. რეჟისორი გიორგი შენგელაია)
ZURAB KIKALEISHVILI AS POSTMAN. *VERA DISTRICT MELODIES*
(THE GEORGIAN FILM STUDIO. 1973. GIORGI SHENGELAIA)



სვენა ფილმიდან „აურზაური სალხინეთში“. ცენტრში – მარია ბაუერი. (კინოსტუდია „ქართული ფილმი“. 1975. რეჟისორი ლანა ლოღობერიძე)

A STILL FROM THE FILM *MESS IN THE MERRY LAND*. MARIA BAUER IN THE CENTER (THE GEORGIAN FILM STUDIO. 1975. DIRECTED BY LANA GHOGHERIDZE)

ქნატა – მარია ბაუერი. ჭორიკანა – ეთერ მოციხულაშვილი. „აურზაური სალხინეთში“. (კინოსტუდია „ქართული ფილმი“. 1975. რეჟისორი ლანა ლოღობერიძე)

MARIA BAUER AS KNATCHA AND ETER MOTSIKULASHVILI AS GOSSIPER. *MESS IN THE MERRY LAND* (THE GEORGIAN FILM STUDIO. 1975. DIRECTED BY LANA GHOGHERIDZE)





ირინე ჯანდიერი, გელა კანდელაკი.
„იყო გაგვი მგალობელი“
(კინოსტუდია „პართული ფილმი“. 1970.
რეჟისორი ოთარ იოსელიანი)

IRINE JANDIERI, GELA KANDELAKI.
THERE WAS A SINGING OUZEL
(THE GEORGIAN FILM STUDIO. 1970. DIRECTED
BY OTAR IOSELIANI)



მაკა მახარაძე. „იყო გაგვი მგალობელი“
(კინოსტუდია „პართული ფილმი“. 1970.
რეჟისორი ოთარ იოსელიანი)

MAKA MAKHARADZE IN *THERE WAS A SINGING
OUZEL* (THE GEORGIAN FILM STUDIO. 1970. DIRECTED
BY OTAR IOSELIANI)



თავად ზაალის ცოლი
 – ნიალა გოძიაშვილი,
 „ბრწყინვალე ლეჟენდი“
 (კინოსტუდია „პართული
 ფილმი“. 1985 წ. რეჟისორები:
 ნანა ხათისკაცი, თენგიზ
 მაღალაშვილი)
 NIALA GODZIASHVILI AS WIFE
 OF THE NOBLE ZAAL.
 ARSENA'S POEM
 (THE GEORGIAN FILM STUDIO.
 1985. DIRECTED BY NANA
 KHATISKATSI AND TENGIZ
 MAGHALASHVILI)



ზაალის ქალიშვილი
 – თეონა ჩარკვიანი,
 „ბრწყინვალე ლეჟენდი“
 (კინოსტუდია „პართული
 ფილმი“. 1985 წ. რეჟისორები:
 ნანა ხათისკაცი, თენგიზ
 მაღალაშვილი)
 TEONA CHARKVIANI AS
 DAUGHTER OF ZAAL.
 ARSENA'S POEM (THE
 GEORGIAN FILM STUDIO.
 1985. DIRECTED BY NANA
 KHATISKATSI AND TENGIZ
 MAGHALASHVILI)



მარიამ და მარინა ალექსიძეები.
„აშიკ ქერიბი“ (კინოსტუდია „ქართული ფილმი“. 1988. რეჟისორები
სერგო ფარაჯანოვი და დოდო აბაშიძე)
MARIAM AND MARINA ALEKSIDZE IN *ASHIK KERIBI*
(THE GEORGIAN FILM STUDIO. 1988. DIRECTED BY SERGO PARAJANOV
AND DODO ABASHIDZE)

თეთრი ვარდები ბალანჩინისთვის

White Roses for Balanchine

ილია თავბერიძე

By Iliia Tavberidze

ლამაზი და სახელმოსხვეტილი ბალერინებით გარემოცული ბალანჩინი კომპანიიდან წასვლის მსურველებს არასდროს აყოვნებდა. როცა ერთმა ცნობილმა მოცეკვავემ წასვლის გადაწყვეტილება მიიღო — „წადი, მშვიდობით!“ — ორი სიტყვით, საკმაოდ მშვიდად გააცილა მისტერ ბიმ. ამიტომ არც არავის გაკვირვებია, თუ როგორ მშვიდად შეხვდა 24 წლის სიუზან ფარელის კომპანიიდან წასვლის ამბავს. თუმცა მისმა მეგობრებმა კარგად იცოდნენ, რომ სინამდვილეში ჯორჯის „სიმშვიდე“ გარეგნულად შენიღბული მღელვარება იყო. ფარელი მისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ქალი, მოცეკვავე ან კომპანიის წევრი... ბოლო წლებში სწორედ ფარელის სიყვარულით შთაგონებული ქმნიდა საბალეტო შედეგებს...

Constantly surrounded by beautiful and famous ballerinas, Balanchine never stood in the way of anybody wishing to leave. When one of the well-known dancers decided to depart, Mr. B's response was a simple "Alright, goodbye!". So nobody was surprised to see him stay calm when Suzanne Farrell, 24, left the company. But his friends knew perfectly well that George's serenity masked his nervousness. Farrell, who had become a muse for him, was much more than a woman, dancer, or company member. During the years prior he was creating masterpieces inspired by love towards her.





სენტიმენტების გარეშე ურთიერთობა სიუზან ფარელთან ბალანჩინმა მაინც ვერ შეძლო. ის ერთადერთი ქალი იყო, რომლის მეგობრად ვერ იქცა; ერთადერთი „ყოფილი“ რომლის სახელის გაგონებაც უკვე აღარ სიამოვნებდა. როდესაც სიუზანის და ნიუ-იორკ სითი ბალეს მოცეკვავის, პოლ მეჯიას ქორწინების ამბავი შემთხვევით შეიტყო, თავბარდაცემულმა, სრულიად დაბნეულმა ბალანჩინმა დერეფანში მის სათაყვანებელ ბალერინას ბურჯი შეაქცია. ამ დღის შემდეგ, ბალანჩინს ხუთი წელი დასჭირდა განკურნებულყოფილ „ფარელის სენისგან“. ამერიკული ბალეტის ცნობილი კრიტიკოსი, კლაივ ბარნსი იხსენებს, თუ როგორ შეხვდა სიუზანთან დაშორების შემდეგ, ბალანჩინი ლინკოლნ ცენტრთან. მისტერ ბი უცნობ ქალთან მკლავგაყრილი მოაბიჯებდა. „სიცოცხლე გრძელდება“ – უთხრა მეგობარს, თუმცა გამოცდილ ბარნსს მისტერ ბის მღელვარე ტონი არ გამოპარვია – მის სიტყვებს თავდაჯერებულობა აშკარად აკლდა.

სანამ ბალანჩინი სიუზის არყოფნით გამოწვეულ გულგრილობას თამაშობდა, ფარელი მეუღლესთან ერთად სარატოგაში კომპანიის საზაფხულო გამოსვლებს ესწრებოდა. ზუსტად ამ დროს მიხვდა, რომ გონებით ისევ იმ სცენაზე, იმ ბალეტებში დარჩა მისთვის მისტერ ბიმ რომ დადგა...

ხუთწლიანი განშორების შემდეგ, ნოსტალგიით შეპყრობილმა ფარელმა გაბედა და ბალანჩინს წერილი მისწერა. ეს იყო ყველაზე მოკლე ბარათი, რაც კი ოდესმე მიუწერია ჯორჯისთვის: „ძვირფასო ჯორჯ, რამდენადაც სასიამოვნოა თქვენი ბალეტების ნახვა, კიდევ უფრო მეტად აღმაფრთოვანებელია მათი შესრულება. შესაძლებელია კი ეს? სიყვარულით სიუზი“.

პასუხმა არ დააყოვნა. ფარელს ბალანჩინის თანაშემწე ბარბარა ჰორგანი გამოეხმაურა და მასთან შეხვედრაზე მიიწვია. „კარი გაიღო. იქ ჯორჯი იდგა. გულისცემა წამით შემიწყდა, თუმცა შემდეგ თავი ისევ კარგად ვიგრძენი. გადამეხვია, ისე როგორც სჩვეოდა ადრე... მარტონი ვიყავით... მისი საყვარელი Haut-Brion-ის ბოთლი გახსნა. არ მახსოვს, ზუსტად რა ვილაპარაკეთ, თუმცა ბევრი არ გვისაუბრია. ალბათ იქიდან გავაგრძელეთ, სადაც დიდი ხნის წინ შევჩერდით...“

1975 წელს ფარელი კომპანიაში დაბრუნდა.

სარეპეტიციო დარბაზში მისმა შესვლამ შოკში ჩააგდო კომპანიის წევრები. იმ დღეს კლასზე ისინიც მოვიდნენ, ვინც, ჩვეულებრივ, არ ესწრებოდნენ მისტერ ბის გაკვეთილებს. განსაკუთრებით ლელავდნენ ის ბალერინები, რომლებიც სიუზანის წასვლის შემდეგ ფარელისთვის დადგმულ პარტიებს ცეკვავდნენ. ინტერესით აკვირდებოდნენ მოვლენების განვითარებას მამაკაცი მოცეკვავეები, რომელთათვისაც სიუზანი საოცნებო პარტნიორი იყო. ყველაფერი მარტივად მოხდა: ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ბალანჩინმა ჰალსტუხი მოუშვა, სახელოები აიწია და გამოაცხადა: „პირველი პოზიცია“. ასე დაიწყო ახალი ეტაპი მათ ურთიერთობაში.

წლების შემდეგ, როცა სიუზანი ბალანჩინთან ურთიერთობებს ანალიზებდა, მიხვდა, რომ

He could not manage a relationship without sentiments with Farrell. She was the only woman who he could not become friends with; his only “former” whose name he was not happy to hear. When he learned about the marriage between Suzanne and a New York City Ballet dancer, Paul Mejia, the completely shocked Balanchine turned his back to his beloved ballerina in a corridor. Five years had to pass for him to overcome the “Farrell illness”. The well-known late critic of American ballet, Clive Barnes, recalls seeing Balanchine after his split with Farrell, near the Lincoln Center with an unknown woman. “Life goes on”, the choreographer told him, but the lack of confidence in his voice did not escape Barnes’ attention.

While Balanchine played indifference to Suzie’s absence, Farrell attended the company’s summer tour in Saratoga. That was when she realized that in her thoughts she was still on the stage, and in the ballets, created for her by Mr. B.

After a five-year separation, nostalgic Farrell dared to write a letter to Balanchine. It was the shortest letter she had ever sent him: “Dear George, as wonderful it is to see your ballets, it is even more wonderful to dance them. Is this impossible?”

The reply did not take long. Balanchine’s personal assistant, Barbara Horgan, called to invite her to a meeting with him. “The door opened and George stood here. My heart skipped a beat for a moment, but then I felt well again. He embraced me like he used to. We were alone. He opened a bottle of his favorite Haut Brion. I can not remember what exactly we talked about, but there was not a lot discussed. We probably continued from where we had left off.”

Farrell returned to the company in 1975.

The company members were shocked to see her on rehearsal. Even those who did not usually attend Mr. B’s classes were present. Especially nervous were the ballerinas who had been given the roles staged for Suzanne. The male dancers, for whom Farrell was a dream partner, kept an eye on developments. It all went simply: Suzanne and Mr. B embraced. Balanchine loosened his tie, rolled the sleeves up and said: “First position”. This is how a new era in their relationship began.

Years later, while thinking about her relationship with Balanchine, Suzanne realized that he was the choreographer of her life as well. Following the split with the company she worked with Béjart, and received other invitations, but the farther she was from Balanchine, the more she became mesmerized with his masterpieces. Memories of long rehearsals and his advices would come to her. She remembered

ბალანჩინი მისი ცხოვრების ქორეოგრაფი იყო. მისი კომპანიიდან წასვლის შემდეგ ბეჟართანაც იმუშავა, სხვა კომპანიებშიც ჰქონდა მიწვევები, მაგრამ ყოველთვის, რაც უფრო შორს იყო ბალანჩინისგან, მით უფრო ინუსხებოდა მისი ბალეტებით. ახსენებოდა ხანგრძლივი რეპეტიციები, მისი რჩევები და დარიგებები... ახსენებოდა ის, რაც ბალანჩინმა ერთხელ უთხრა: „მხოლოდ ერთ ადამიანს უნდა უსმინო. კრიტიკოსებს, მეგობრებს, მასწავლებლებს სურთ საკუთარი აზრი მოგახვიონ თავზე. მხოლოდ მე მისმინე...“ სიუზანიც ყოველთვის ცდილობდა ასე მოქცეულიყო.

ბავშვობაში სიუზანს ხშირად უოცნებია ნიუ იორკ სითი ბალეში ეცეკვა... ამ ოცნებას მაშინ ყოველგვარ რეალობას მოკლებულ ბავშვურ ახირებად უთვლიდნენ. ბალანჩინი მისთვის მხოლოდ საგაზეთო სურათებზე არსებობდა, როგორც ხელშეუხებელი, ნამდვილი კუმირი...

როცა სიუზანი პირველად ამერიკის საბალეტო სკოლაში გამოცხადდა და ჯორჯისთვის იცეკვა, ძელს მიყრდნობილი ბალანჩინი სრულიად უემოციოდ უყურებდა პატარა ბალერინას, რომელმაც დარბაზში გლაზუნოვის „ოთხი სეზონის“ შესრულება დაიწყო. „საკმარისია, მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ“ – ამ სიტყვების შემდეგ სიუზანი ბალანჩინისგან არც არაფერს ელოდა. თუმცა ერთხელ სკოლიდან სახლში მომავალს გზაში ბარბარა ჰორგანი შეხვდა: „სიუზან, მისტერ ბალანჩინს სურს დასს შეუერთდეთ, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაქვთ“.

მათი ურთიერთობა საინტერესოდ ყალიბდებოდა. ქორეოგრაფი ქმნიდა ბალერინას, ბალერინა კი – ბალანჩინის ჩანაფიქრს რეალურს ხდიდა. სიუზანი გრძნობდა, რომ ბალანჩინისთვის იმედისმომცემ ვარსკვლავად იქცა. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ჯერ კიდევ უცნობი ბალერინა იგორ სტრავინსკის ასე წარუდგინა: „იგორ, გაიცანი, ეს სიუზან ფარელია – ახალდაბადებული“. მასთან მუშაობით თითქოს ბალანჩინიც გაახალგაზრდავდა. მისტერ ბის ეს ცვლილება განსაკუთრებით მაშინ გახდა თვალსაჩინო, როცა ერთ დღესაც, ფარელს გაანდო სურვილი – დაედგა სამმოქმედებიანი, დიდი, ექსტრავაგანტული „დონ კიხოტი“. ეს არ იყო კლასიკური პეტიპასეული ბალეტი, რომელსაც ყველა კომპანია ცეკვავდა. მუსიკაც სხვა შეარჩია, სიუჟეტიც... კომპოზიტორი ნაბოკოვი, რომლის მუსიკაზე დაიდგა ბალეტი, იგონებს, რომ ბალანჩინმა დულსინეას ძიებაში, რომლისთვისაც ამ ბალეტს დადგამდა, 25 წელი გაატარა. ქორეოგრაფმა თითქოს გადაწყვიტა სიყვარული მისი დულსინეასთვის სწორედ სცენაზე აეხსნა.

„დონ კიხოტის“ რეპეტიციებზე დაიწყო ფარელისა და მისტერ ბის საუბარი არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ ცეკვით, სხეულით; დაიწყო მათი პროფესიული და პირადი ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირება. ფარელმა პრემიერამდე სულ ცოტა ხნით ადრე გაიგო, რომ დონ კიხოტს თავად ბალანჩინი იცეკვებდა. თვალ-ცრემლიანი სიუზანისთვის პრემიერაზე მხოლოდ ბალანჩინი არსებობდა, მხოლოდ მას ხედავდა სცენაზე. დასასრულს, სიუზანს მისტერ ბის სახელით სცენაზე ვარდების თაიგული გაუტანეს.

Balanchine telling her: “You should only listen to one person. Critics, friends, teachers all have their opinions about you. You should only listen to me.” And that is what Suzanne did.

In her childhood, Suzanne had the dream of dancing in the New York City Ballet. Back then, it was considered a childish fantasy by people around her. For Suzie, Balanchine only existed on newspaper pictures, as an untouchable idol.

When Suzanne arrived at the School of American Ballet and danced for George, a completely unemotional look from Balanchine – leaned against a bare and watching the little ballerina performing *The Four Seasons* by Glazunov – was followed by “Alright, thank you. Good-bye”. Suzanne did not expect much after these words, but one day, returning from school, she was met by Barbara Horgan: “Suzanne, Mr. Balanchine wants you to join the company, if you would like to.” This is how simply her long-standing dream came true.

Their relationship developed in an interesting way. The choreographer was creating the ballerina, while she turned his ideas into reality. Suzanne felt how she became a promising star for Balanchine. At one of the rehearsals he presented the still unknown ballerina to Stravinsky: “Igor, this is Suzanne Farrell. Just been born.” It seemed as he himself became younger by working with her. This was especially apparent when he told her of her plans to stage a three-act, grand, extravagant *Don Quixote*. This was not going to be the classical Petipa ballet every company danced. He chose different music and plot, and most importantly, he decided to confess to his love for her on stage. The composer Nabokov, whose music the piece was set on, later said Balanchine had spent 25 years searching for the Dulcinea to stage the ballet for. It seemed the choreographer decided to confess to love for his Dulcinea on stage.

The *Don Quixote* rehearsals saw Farrell and Mr. B begin a relationship of not only words, but that of dance, and a physical one. Their professional and private lives became entangled. Farrell learned only prior to the premiere that Balanchine would be performing the *Don Quixote* role. For Suzanne, with tears in her eyes, there was only Balanchine for the entire performance. She was also given flowers on stage in his name.

Balanchine never told Farrell openly about his feelings. He never confessed in love, and after their reunion even told her that he should not have thought about her at his age. But whatever Balanchine said, Suzanne felt without words what George thought. Farrell later recalled: “We put our entire lives into the *Don Quixote* performance, and could not close our eyes to this and continue as if nothing had happened.”



ბალანჩინის ფარელისთვის მისი გრძნობების შესახებ ღიად არასდროს არაფერი უთქვამს... პირიქით, მოგვიანებით, როცა ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ და დაუმეგობრდნენ, უთხრა კიდევ, რომ მათი ურთიერთობა შეცდომა იყო, რომ ასაკოვან ბალანჩინს არც უნდა ეფიქრა ფარელზე... თუმცა რაც არ უნდა ეთქვა ბალანჩინს, სიზუბანი უსიტყვოდ გრძნობდა რას ფიქრობდა ჯორჯი. ფარელი იხსენებს: „ღონ კიხტში“ მთელი ჩვენი ცხოვრება

But she was reluctant about Balanchine's wedding series, not wishing to become another one in the long list of his "ballerina wives". So she decided to take her place in Balanchine's life only through dance.

Suzanne's decisions were influenced greatly by one incident relating to a Chicago tour. The press had printed a photograph of tour celebrations, showing



ჩავდეთ. თვალს ვერ დავხუტავდით იმაზე, რაც მოხდა და ცხოვრებას ისე ვერ გავაგრძელებდით, თითქოს ჩვენს შორის არაფერი არ ყოფილა...“ ფარელს აბრკოლებდა ბალანჩინის ქორწინების სერიები. სიუზანს არ უნდოდა ბალანჩინის „ბალერინა-ცოლების“ გრძელ სიაში მორიგი აღმოჩენილიყო. სწორედ ამიტომ, გადაწყვიტა მხოლოდ საკუთარი ცეკვით დაემკვიდრებინა განსაკუთრებული ადგილი ბალანჩინის ცხოვრებაში.

Suzanne and George raising glasses. Tabloids said they would get engaged soon. Suzanne was confused by Balanchine’s two-way answers while their matters were discussed openly.

This relationship turned into an intimidating condition for Farrell. Balanchine’s stance made her internally devoid. She even thought about suicide. Dancing was her only salvation.

სიუზანის გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია ერთმა შემთხვევამ, რომელიც ჩიკაგოში გასტროლს უკავშირდება. პრესაში საგასტროლო წვეულების ფოტო გამოქვეყნდა, სადაც სიუზანი და ჯორჯი ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებენ. ტაბლოიდე-ბი წერდნენ, რომ ისინი მალე დაქორწინდებოდნენ. პრესაში გამოქვეყნებულმა ამბავმა სიუზანი მათ ურთიერთობაზე დააფიქრა. ის, რომ მათზე უკვე საჯაროდ საუბრობდნენ ქალს საგონებელში აგდებდა. სიუზანს კითხვები გაუჩნდა, ბალანჩინი კი ჩვეულ სტილს არ ღალატობდა და ქალს ორამრო-ვან პასუხებს სცემდა.

თანდათან ეს ურთიერთობა ფარელისთვის დამთრგუნველ მდგომარეობად იქცა. ბალანჩინის დამოკიდებულებამ სიუზანი შინაგანად დააცარი-ელა; თვითმკვლელობაზეც უფიქრია, სასოწარ-კვეთილი ცეკვავედა და მხოლოდ ბალეტი იყო მისი ერთდაერთი ხსნა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მის ცხოვრებაში პოლ მეჯია, ნიუ იორკ სითი ბალეს მოცეკვავე, რომელმაც ფარელს მისთვის ყველაზე რთულ მდგომარეობაში ნამდვილი მეგობრობა გაუწია. მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ბალანჩინისგან განსხვავებით მეჯია სიუზანს სიყვარულში უმაღვე გამოუტყდა.

მათა ქორწინებამ მისტერ ბისა და სიუზანის ურთიერთობა საგრძნობლად გააფუჭა. ბალანჩინი მასთან შეხვედრას გაურბოდა. მდგომარეობა სიუზანისთვის აუტანელი აღმოჩნდა. ერთხელაც, „Symphony in C“-ში უნდა ეცეკვა, როცა საგრიმი-ოროს კარი ჩამცემელმა შემოაღო, მისი კოსტიუმი აიღო და უთხრა: „სიუზან, ვწუხვარ, მაგრამ ამ საღამოს შენ არ ეცეკვა“. სულ ეს იყო. ფარელმა ნივთები აიღო, ჩემოდანში ჩაალაგა და დატოვა ნიუ იორკ სითი ბალე, კომპანია, რომელიც ასე ძალიან უყვარდა.

ბედის ირონიაა ალბათ, რომ წლების შემდეგ, ნიუ იორკ სითი ბალეში დაბრუნებული სიუზანი, პირველად იმ ბალეტში წარსდგა მაყურებლის წინაშე, რომლიდანაც ხუთი წლის წინ სწორედ ბალანჩინის გადაწყვეტილებით მოხსნეს. მაყურებელმა ფარელი „Symphony in C“-ში ამჯერად ახალგაზრდა დანიელ მოცეკვავესთან პიტერ მარტინსთან ერთად იხილა. როცა სიუზანმა ადაჟიოს შესრულება დაიწყო დარბაზს ოვაციამ გადაუარა. ფარელმა უმაღ შეძლო დარბაზის ძველებურად დატყვევება. ადაჟიოს დასასრულს ბისზე გამოსვლა ოთხჯერ მოუხდა, თუმცა მაყურებლის აღტაცება ბალეტის კრიტიკოსების შეფასებებს არ დაემთხვა. პრესაში წერდნენ, რომ ძველი ფარელისაგან თითქმის არაფერი დარჩა. ის, რაც მისთვის შეიქმნა, მისტერ ბის თავისუფლად შეეძლო კომპანიის სხვა ბალერინებზე მოერგო, მაგრამ ბალანჩინმა სიუზანს ყველა მისი პარტია დაუბრუნა.

კომპანიაში დაბრუნების შემდეგ, ფარელმა „დონ კიხოტში“ რამდენჯერმე ისევ იცეკვა. მაგრამ ბალანჩინი მას, ავადმყოფობის გამო, ვეღარ უწევდა პარტნიორობას. ფარელისთვის ეს ბალეტი კი უკვე წარსულის აჩრდილად იქცა, სადაც დულსინეია სცენაზე მწუხარე სახის რაინდის გარეშე იდგა. და მიუხედავად მშვენიერი კონრად ლიუდლოსა,

This was when Paul Mejia, a New York City Ballet dancer, came into her life. He was the only one who offered true friendship to Farrell during her most difficult time. This friendship turned into love, and unlike Balanchine, Mejia declared his love to Farrell without hesitation.

Their marriage seriously damaged Mr. B and Suzanne's relationship. Balanchine evaded meetings with her. The situation became unbearable for Suzanne. One evening she was preparing to dance in *Symphony in C* when the costume lady entered her room, taking her costume and telling her: "I am sorry Suzanne, you are not dancing tonight." This was it. Farrell packed her belongings and left New York City Ballet, the company she loved so much.

It is perhaps ironic that *Symphony in C*, the work she was removed from by Balanchine, was the ballet she danced on her return to the company five years later. This time the spectators saw her partner Peter Martins, a Danish dancer. When Farrell began her adagio, an ovation swept through the audience. She was still able to capture them like before. She had four curtain calls after the adagio, but the ecstatic reaction did not carry over to critics. The press said there was almost nothing left of the old Farrell. The roles created for her could have been adjusted for other ballerinas, but Balanchine gave Suzanne all her previous roles.

After returning to the company Farrell danced in *Don Quixote* several more times, but Balanchine was not able to partner her anymore due to his illness. For her the ballet became a ghost from the past, while her Dulcinea now stood on stage without the Knight of the Sad Face. Despite being partnered by the fine Conrad Ludlow, it was apparent to everyone that *Don Quixote* had accomplished its mission. Several years later the ballet was removed from the repertory.

Balanchine was suffering from illness at this time. He was even admitted to hospital several times, but every time found strength to return to rehearsals and stage ballets. Farrell, upon her return to the company, became Balanchine's inspiration again.

A new idea was born in the company in 1975. Preparing a Maurice Ravel festival, Balanchine visited Farrell one day and played a recording of *Tzigane* to her. He already knew the ballet would not look like any of his other masterpieces. While they listened to the music he explained the choreographic text of the future production: there would be no dancing steps, pointe stands or pirouettes. The dance would incorporate many interesting and strange movements.

While arranging his new choreographic ideas, the work moved into a new intriguing phase. Once more,

რომელიც პარტნიორობას უწევდა, ყველა ხედავდა, რომ „დონ კიხოტს“ უკვე შესრულებული ჰქონდა მისია – რამდენიმე წლის შემდეგ ბალეტი რეპერტუარს საბოლოოდ ჩამოშორდა.

ბალანჩინი უკვე მძიმედ ავადმყოფობდა. რამდენჯერმე საავადმყოფოშიც მოხვდა, მაგრამ მაინც პოულობდა ძალას სარეპეტიციო დარბაზში ემუშავა და ახალი ბალეტები დაედგა. ფარელის კომპანიაში დაბრუნების შემდეგ, სიუზანი ისევ იქვე ბალანჩინის შთაგონების წყაროდ.

1975 წელს კომპანიაში ახალი იდეა დაიბადა. ბალანჩინი რაველის ფესტივალს ამზადებდა, როცა ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ, ფარელს სახლში ესტუმრა და რაველის „Tzigane“-ს ჩანაწერი მოასმენინა. მან უკვე იცოდა თუ როგორი იქნებოდა მომავალი ბალეტი, რომელიც არ დაემსგავსებოდა მის მიერ შექმნილ არც ერთ სხვა სპექტაკლს. მუსიკის მოსმენასთან ერთად, ჯორჯი უხსნიდა ბალეტიანას მომავალი დადგმის ქორეოგრაფიულ ტექსტს – არავითარი საცეკვაო ნაბიჯები, პუნტზე შედგომა ან პირუტები – ცეკვაში მრავალი საინტერესო და უცნაური მოძრაობა იქნებოდა ჩადებული.

ბალანჩინის ახალი ქორეოგრაფიული იდეების დალაგებისას ნელ-ნელა მუშაობაც დამინტრიგებელ ფაზაში გადავიდა. კვლავ ატარებდნენ ექსპერიმენტებს. ყოველი რეპეტიციის შემდეგ, თანდათან იკვთებოდა, რომ რაღაც განსაკუთრებულთან ჰქონდათ საქმე; ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ბალანჩინმა ფარელისთვის კიდევ ერთი შედეგური შექმნა. პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა!

ფარელის დაბრუნების შემდეგ მისტერ ბიმ თვრამეტი ახალი ბალეტი დადგა და სიუზი თითქმის ყველა მათგანში მონაწილეობდა. თუმცა „მოცარტიანა“ ამ თვრამეტიდან ერთადერთი აღმოჩნდა, როდესაც ბალანჩინმა საკუთარ ნამუშევარზე აზრი გამოთქვა. პრემიერის შემდეგ ჯორჯი სიუზის გასახდელში შევიდა და უთხრა: „იცი, მომწონს ეს ბალეტი“.

და მაინც, ბალანჩინის მკვლევარები ხშირად ფიქრობენ – რა იყო „მოცარტიანა“ – რეჟივში საკუთარი შემოქმედებისათვის თუ უკანასკნელი საჩუქარი ბალერინასთვის, რომელიც მისი შემოქმედების ბოლო მუზა გახლდათ?

ფარელის ბოლო შეხვედრა მასთან სამოცდამეცხრამეტე დაბადების დღეზე საავადმყოფოს პალატაში შედგა. სულ მალე ბალანჩინი გარდაიცვალა. გამოთხოვების ცერემონია რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში გაიმართა. კომპანიის წევრები სათითაოდ უახლოვდებოდნენ კუბოს. ფარელიც მათ რიგში იდგა. დაიხარა, ბოლოჯერ გაესაუბრა, მაგრამ ეს არ იყო დამშვიდობება, რადგან ფარელს ამის სურვილი არ ჰქონდა... დაკრძალვა სამშაბათს, ნიუ-იორკთან ახლოს, სერ ჰარბორის სასაფლაოზე შედგა, სადაც არავინ მიუწვევიათ, თუმცა ფარელმა წასვლა მაინც გადაწყვიტა... ცერემონიაზე დააგვიანდა, კუბო უკვე საფლავში ჩაეშვა. სიუზიმ იმ დღეს მისტერ ბის უკანასკნელი საჩუქარი გაუკეთა... ბალანჩინის საფლავზე ვარდები დააწყო... თეთრი ვარდები, როგორსაც ბალანჩინი ფარელს ხშირად ჩუქნიდა...



ჯორჯ ბალანჩინი რეპეტიციებზე სიუზან ფარელთან და იბ ანდერსენთან ერთად
GEORGE BALANCHINE IN REHEARSAL WITH SUZANNE FARRELL AND IB ANDERSEN

they experimented together. After each rehearsal it became clear there was something special turning out of the work. After a six-year break, Balanchine had made another masterpiece for Farrell, and the premiere was a big success.

After Farrell's return, Mr. B staged eighteen new ballets and Suzie danced almost all of them, but *Mozartiana* was the only instance of Balanchine assessing his own work. After the premiere he went to Suzie's room and told her: "You know, I like this ballet." The only time he voiced his thoughts about his own piece.

Still, Balanchine researchers often think about the true meaning of *Mozartiana* – was it a requiem, or the final gift to the ballerina who was his final muse?

Balanchine and Farrell's last meeting was on his seventy-ninth birthday in a hospital room, at a time when Balanchine was fighting for his life. The funeral ceremony was carried out in a Russian orthodox church. Company members approached the coffin one after another. Farrell leaned over to say her last words to him, but this was not a farewell; she did not intend to say goodbye. The burial was arranged on Tuesday in Sag Harbor's Oakland Cemetery near New York City. Nobody was invited, but Farrell still decided to attend. She was late at the ceremony and the coffin was already lowered into the grave. Farrell placed her last gift to Mr. B by placing white roses on his grave. Balanchine used to bring white roses to her.



ქართული ბალეტის მეგობართა
საზოგადოების წევრები
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS
OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2012/2013 SEASON

1. გიორგი ჭირაკაძე და სარა ვილიამსონი George Chirakadze and Sarah Williamson	ოქრო Gold
2. ნეილ და მიშელ დანები Neil and Michele Dunn	ოქრო Gold
3. რიჩარდ ნორლანდი და მერი ჰარტნეტი Richard Norland and Mary Hartnett	ოქრო Gold
4. ბრიჯიტ ბრინკი და ნიკ ჰიგინსი Bridget Brink and Nick Higgins	ოქრო Gold
5. ანდრეას ჰეიდინგსფელდერი Andreas Heidingsfelder	ოქრო Gold
6. ჯონ და ჰოლი ჰოლცერ ბასი John Bass and Holly Holzer Bass	ოქრო Gold
7. მასაიოში და ჯუნკო კამოჰარა Masayoshi and Junko Kamohara	ოქრო Gold
8. პიტერ და მაიკ ლანგენბერგი Pieter and Mieke Langenberg	ოქრო Gold
9. კარლოს ა. ასფორა Carlos A. Asfora	ოქრო Gold
10. ფილიპ ლიმეტ დევეზი Philippe Limet Dewez	ოქრო Gold
11. კაროლინა ფორესტიერი Caroline Forestier	ოქრო Gold
12. ლენა კილაძე Lena Kiladze	ოქრო Gold
13. კარენ ვოლფსონი Karen Wolfson	ოქრო Gold
14. მაია ფრენკ-ჰენიგი და ორტვინ ჰენიგი Maya Frank-Hennig and Ortwin Hennig	ოქრო Gold
15. მილა და პოლ ჰოლოუეი Mila and Paul Holloway	ოქრო Gold
16. ტობია სებასტიან თიბერგი და ფლორიან ფაკნერი Tobia Sebastian Thyberg and Florian Fuckner	ვერცხლი Silver
17. ემი ანტონიადეს-აუსტერმილერი Amy Antoniadese-Austermiller	ვერცხლი Silver
18. პლამენ ბონჩევი Plamen Bonchev	ვერცხლი Silver
19. ილიანა დერილოვა Ilyana Derilova	ვერცხლი Silver
20. მიშელ დეროჰანესიანი Michelle DerOhanesian	ვერცხლი Silver
21. ელენა დიმიტროვა Elena Dimitrova	ვერცხლი Silver
22. იზაბელა ემბორგი Isabella Emborg	ვერცხლი Silver
23. მაკა გოცირიძე Maka Gotsiridze	ვერცხლი Silver
24. ივან ესტრაბ და ევა ესტრაბოვა Ivan Jestráb and Eva Jestrábová	ვერცხლი Silver
25. მაკა კუბუსიძე (ნინო ზეკაშვილის ხსოვნის საპატიოცემულოდ) Maka Kubusidze: in loving memory Nino Zekashvili	ვერცხლი Silver
26. ანა მელცერი Anna Meltzer	ვერცხლი Silver
27. პიერ ორლოვი Pierre Orloff	ვერცხლი Silver
28. იაროსლავა (ლოლა) პეტროვა Yaroslava (Lola) Petrova	ვერცხლი Silver
29. თაკო რთველიაშვილი Tako Rtveliashvili	ვერცხლი Silver
28. ნატალია ტომასოვა Natalya Tomasova	ვერცხლი Silver
29. ტაიბ ბარვარი Taib Barvari	ვერცხლი Silver

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:
For additional information, please call:

(995 32) 235 75 03

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება

გთხოვთ განვერიანდეთ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიასვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი** და **ლილი ჰაუფი**. საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი** და **ინა გუდავაძე**.

მმართველობითი საბჭოს თანათამგჯდომარეები არიან: **სარა ვილიამსონი** და **მიშელ დანი**; საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი**.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani, and Elisabed Sagaradze**. Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Members of the Governing Board are: Co-Chairmen **Sarah Williamson** and **Michele Dunn**; Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft**.

Friends of the Georgian Ballet is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre D. Sakvarelidze.

Friend of THE GEORGIAN BALLET



նմոց՝ ճաշիչ ֆեմբելտան ղիտը
Roam with Geocell



 ԳԵՈՍԵԼ
Geocell

14-52-2731 13331